# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 8 აგვისტო, 2014 წელი.

№155-156 (7537)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# 2008 აგვისტო: საქართველოს ტრაგედია



„ჩვენ დაბეჯითებით ვურჩევდით სააკაშვილს, არ ჩათრეულიყო რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციაში, რაშიც ის დამარცხდებოდა. მაგრამ სააკაშვილმა ჩვენს რჩევას ყური არ უგდო. ჩვენ საქართველოს დავეხმარეთ ჯარის შექმნაში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას ამით მწვანე შუქი მივეცით, ჩათრეულიყო რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციაში.“

ჯონ ბრედლი, ამერიკის ელჩი.

---

„ცხადია, საქართველოს შეიარაღებული ძალა, შეიჭრა რა საერთაშორისო სამშვიდობო ძალების მიერ დაცულ „სამხრეთ ოსეთის ზონაში“, აგრესიის აქტი ჩაიდინა. ამრიგად, სრულიად ცხადია, საქართველოს ხელისუფლებამ გაეროს წესდება დაარღვია.“

გაეროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე.

---

„სულ მალე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას მთლიანად გავაკონტროლებთ, მაგრამ კიდევ უფრო სასიხარულოა ის ფაქტი, რომ რუსეთი ამ კონფლიქტში ნეიტრალიტეტს იჭერს“.

მიხეილ სააკაშვილი

## კოლექტიური ნერონი




3

## ზვიად გამსახურდიადან ჯოჰარ დუდაევამდე



6 მძიმე ქართული შვილი 7

## ნაციონალებს ჰააგის ტრიბუნალი ელოდებათ

2

## სააკაშვილის დანაშაულებს ვერავინ „გაათეთრებს“!

4

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

საერთაშორისო სამართალი

# ნაციონალებს ჰააგის ტრიბუნალი ელოდებათ

**ნაციონალურ მოძრაობას უამრავი დანაშაული რომ მიუძღვის არამარტო საკუთარი ხალხის მიმართ, არამედ საერთაშორისო საზოგადოებისადმი, ეს არ ახალია. ქუჩაში ნებისმიერი გამვლელი რომ გააჩერო, გამოცდილი იურისტივით ჩამოგითვლით მათ მიერ ჩადენილ კრიმინალურ ქმედებებს და ხუთ წუთშიც გამოუტანენ შესაბამის სასჯელს. ამაზე იტყვიან — ყველამ ყველაფერი იცის სამართალდამცავთა და ნაციონალთა საზღვარგარეთელი მფარველების გარდაო. ახლა როდესაც ევროპელ ხალხთა დიდ კავშირში შევდივართ და ე.წ . ასოცირების ხელშეკრულებაზეც გვაქვს ხელი მოწერილი, საშუალება გვეძლევა, ფარდაახდილ დანაშაულობებს შესაბამისი სასჯელიც გამოვუტანოთ. ასოცირების დღის წესრიგითაც ხომ არის გათვალისწინებული ქვეყანამ ითანამშრომლოს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან. ამ „დღის წესრიგში" თანამშრომლობის ერთ-ერთ პუნქტად ჩამოთვლილია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის გაგრძელება, რომის სტატუსისა და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების განხორციელების მეშვეობით და მისი ერთიანობის დაცვის მიმართ სათანადო ყურადღების გამახვილებით.**



ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სატკივარი 2008 წლის 8 აგვისტოს ომია. ასობით დაღუპული ჩვენი მოქალაქე (ორივე მხრიდან, რადგან თუ ე. წ. სამხრეთ ოსეთს ჩვენს მიწად ვთვლით, იქ მცხოვრები ოსური მოსახლეობაც, გინდათ სეპარატისტები დაარქვი მათ, შენი მოქალაქეები არიან), განადგურებული ინფრასტრუქტურა, დევნილებად ქცეული ათი ათასობით ადამიანი, დაკარგული ტერიტორიები და ოკუპანტების მიერ საქართველოს საზღვარს გარეთ გატანილი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე სახელმწიფოების მიერ მოცემული მილიონებად შეფასებული უახლესი სამხედრო ტექნიკა.

ამ შემთხვევაში ყოფილი მაღალჩინოსნების, ე. ი. ნაციონალების ბრალი, შესაძლოა, ადამიანების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულით დაკვალიფიცირდეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტი შეშფოთებულია იმ ნელი წინსვლით, რომელიც წარსულში ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოძიების, დამნაშავეთა გამოვლენისა და მათ პასუხისგებაში მიცემის თვალსაზრისით მიმდინარეობს, რომლებიც უშუალოდ 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ მოხდა. ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, სისხლის სამართლის საერთაშორისო ორგანიზაციაში გადააგზავნა „აგვისტოს ომის" გამოძიების საქმე. ჰააგის სასამართლო რომ დაინტერესდა ამ საქმით ამას პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სესიაშვილიც** ადასტურებს.

როგორც ბატონმა ირაკლიმ განაცხადა **ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში ინდივიდუალური სარჩელებიც შევიდა. რის შემდეგაც საქართველოში მოვლინებულნი იქნენ პროკურორები გამოძიების დასაწყებად. ჩვენ კი ვალდებულნი ვართ, მხედველობაში მაქვს ხელისუფლება, შესაბამისი კონვენციის ფარგლებში ვითანამშრომლოთ და შევასრულოთ ის საერთაშორისო ვალდებულებები, რაც ამ კონვენციის ფარგლებში გვეკისრება.**

2008 წლის ომიდან გამომდინარე, შესაძლო დანაშაულობების გამოძიების მომხრე იყო შერიგებისა და სამოქალაქო საკითხებში სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი.** მისი თქმით **დანაშაული უნდა იქნეს გამოძიებული და ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა თუ ვის მიუძღვის ბრალი. ეს ჩვენი ისტორიაა, შთამომავლობამ და საერთაშორისო საზოგადოებამ მიუკერძოებლად და ხელის დაფარვის გარეშე უნდა იცოდეს სიმართლე. ამ ომის უკან დგას საერთაშორისო დანაშაული კაცობრიობის მიმართ. უნდა გაირკვეს, ვისთან მიგვიყვანს გამოძიება. აქ, რა თქმა უნდა, მაღალი დონის ჩინოვნიკები მყავს მხედველობაში, ვისაც შეიძლება კავშირი ჰქონდეს ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენასთან.**

ჰააგის ტრიბუნალი იძიებს შემდეგი სახის დანაშაულს — **ომის და-**



**ნაშული, გენოციდი და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.** თავის დროზე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ შექმნა დოკუმენტი, სადაც პირდაპირ წერია, რომ ჰააგის სასამართლოს პროკურორმა საგამოძიებო პალატის წინაშე აღძრა საკითხი, რათა შეისწავლონ ხომ არ ჰქონდა ადგილი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რაიმე ისეთ ქმედებს, რომელიც ჰააგის სასამართლოს განსჯადობას ექვემდებარება. რახან თვითონ საერთაშორისო თანამეგობრობა მოითხოვს ამ საქმის გამოძიებას, ზოგიერთი ევროპელი თუ ოკეანისგაღმელი პოლიტიკოსის სურვილები, რომ არ იქნას გამოძიებული ეს დანაშაული, რათა ჩრდილი არ მიადგეს და არ გამოიკვეთოს ბრალეულობა „დემოკრატიის შუქურად" მონათლული სააკაშვილისა და მისი თანამოაზრეებისა, ჩვენც ვალდებული ვართ, ჩავერთოთ და ვითანამშრომლოთ საგამოძიებო საქმეში.

კანონისა და სამართლის უზენაესობის წინაშე იმუნიტეტი არავის აქვს, არც მოქმედ პრეზიდენტსა და მაღალჩინოსნებს, არც ყოფილთ. კანონი კანონია, მით უმეტეს ჩადენილი დანაშაული თუ საკაცობრიოა.

ყველასათვის ცნობილია, რომ ამგვარი საქმეების გამოძიების გამოცდილება საქართველოს არა აქვს, ამიტომაცაა უპრიანი, რომ ეს საქმე საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა გამოიკვლიონ. უპრიანია იმითაც რომ ყბადაღებული „პოლიტიკური დევნაც" ავიცილოთ. ნაციონალები და მათ მიერ მოქრთამული უცხოელი პოლიტიკოსები ხომ ნებისმიერ კრიმინალს პოლიტიკურ სარჩელს აკერებენ და პოლიტიკურ დევნად ნათლავენ.

**„პოლიტიკური თვალსაზრისით, ალბათ, უფრო მიზანშეწონილია, რომ ქართულმა მართლმსაჯულებამ აიცილოს ეს თემატიკა და გადაულოცოს იმას, ვის ობიექტურობასაც ნაციონალური მოძრაობა ასე ადვილად პოლიტიკურ იარლიყს ვერ მიაწებებს. წინასწარ რთულია პროგნოზირება როგორი იქნება შედეგი, მაგრამ ადამიანობის წინააღმდეგ შეიძლება დანაშაული ჩაიდინო არასამხედრო გარემოცვაშიც. სიცოცხლე ხელყო ისეთი ადამიანისა და აწამო უდანაშაულო ადამიანი, ეს არის ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაული. ანალოგიური დანაშაული აგვისტოს ომის გარეშეც თვითონ ქართულ სინამდვილეში ნაციონალურ მოძრაობას ჩადენილი აქვს, მაგრამ დამტკიცებული არის თუ არა, ეს სხვა საკითხია. ამბოხის სცენარი, შეთქმულების უამრავი ვერსია, ამ ვერსიით ციხეში გამომწყვდეული ხალხი, მათი წამება და დარბეული მიტინგები, ეს ყველაფერი ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. თუ ამ შემთხვევაში არ აწუხებდათ ნაციონალებს ეთიკური ნორმა, სავარაუდოა, რომ არც ომის დროს არ შეაწუხებდათ ეთიკური ნორმა,** — აღნიშნა ჰააგის სასამართლოში შეტანილი საქმის კომენტირებისას პოლიტოლოგმა **რამაზ საყვარელიძემ.**

ასე რომ, დანაშაულთა მთელი კასკადია, რომლის დამტკიცების შემთხვევაში ჰააგის სასამართლო მართლაც საკადრისს მიუზღავს ყველა იმ დამნაშავეს, რომელთაც არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ კაცობრიობის წინაშეც მიუძღვის ბრალი. ყველაფერს თავის სახელი დაერქმევა.

**მამუკა ვაშაკიძე**

აი, ინიციატივა!

# მთელი ქვეყნის მასშტაბით ხომ არ დაგვენერგა?

## ყოჩაღ, ქარელელებო, მართლაც მაგარი შემოქმედებით-შემოსავლიანი მუშაობა გცოდნიათ!

**გუშინ ინტერნეტსივრცეში გავრცელდა „ქართლი.ჯის" ინფორმაცია „დეპუტატის შეხვედრების ტარიფები: „ამომრჩეველთან — 250 ლარი, თანამდებობის პირებთან — 50 ლარი".**

**ერთი შეხედვით, ვადამდელი საპირველაპრილო ხუმრობა გეგონებოდა ადამიანს, იმდენად დაუჯერებელი ჩანდა ეს ყველაფერი...**

**თუმცა, ჯერ „ქართლი.ჯის" აღნიშნულ ინფორმაციას გავეცნოთ.**

**„საკრებულოს სხდომებში მონაწილეობისთვის — 100 ლარი; საკრებულოს კომისიებში მონაწილეობის მისაღებად — 100 ლარი; ამომრჩევლებთან შეხვედრებისთვის — 250 ლარი; ამომრჩევლებთან შეხვედრებისთვის ქარელის მუნიციპალიტეტის შენობაში — 100 ლარი;**




**ამომრჩევლებთან გასვლითი შეხვედრებისთვის — თითოეული გასვლისთვის 50 ლარის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს თვეში სამი შეხვედრისა; საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებთან შეხვედრებისთვის — 50 ლარის ოდენობით".**

**ასე წერია „ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ" დადგენილებაში, რომელიც 2014 წლის მოწვევის საკრებულომ 2 აგვისტოს მიიღო.**

ამავე დადგენილებაში ვკითხულობთ:

**„მითითებული ასანაზღაურებელი ხარჯის გაცემა ხდება საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ ერთიანი სახით მიწოდებული (მოხსენებითი ბარათის) საფუძველზე".**

**„საკრებულოს სხდომებზე და კომისიებში მონაწილეობის აღრიცხვას აწარმოებს საკრებულოს აპარატი"**

**ამომრჩევლებთან შეხვედრების „საქმიანობის აღრიცხვისთვის საკრებულოს წევრი, ყოველი თვის 5 რიცხვამდე, საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს მოხსენებით ბარათს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია ამომრჩევლებთან შევხვედრისა ანდა საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებთან შეხვედრის შესახებ წინა თვეში".**

**„მოხსენებით ბარათში აისახება: შეხვედრების ჩატარების დრო და ადგილი; შეხვედრის თემატიკა".**

**„მოხსენებით ბარათს თან უნდა დაერთოს: ამომრჩევლებთან შეხვედრის დასადასტურებლად — მინიმუმ 3 ამომრჩევლის მიერ ხელმოწერილი აქტი, რომელშიც მითითებული იქნება აქტზე ხელისმომწერი ამომრჩევლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი; საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებთან შეხვედრის დასადასტურებლად — ამ პირ(ებ)ის ხელმოწერილი აქტი, რომელშიც მითითებული იქნება აქტზე ხელის მომწერი თანამდებობის პირების სახელი და გვარი".**

„დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე".

**რა თქმა უნდა, ასეთი, დასტურ ხელიხელსაგოგმანებელი დოკუმენტი, დიახაც რომ, მიღებიდან წამის დაუკარგავად უნდა ამოქმედებულიყო, მაშ!**

**ამადაც მიაწერეს, გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდესო!**

**მაგრამ ერთი კია, ქარელელო დეპუტატებო: „ქართლი.ჯის" რომ არ ეყოჩაღა, ასეთი ჭეშმარიტად შემოქმედებითი და ინიციატივიანი მუშაობის თქვენეული სტილი სხვათათვის შეუმჩნეველი და, რაც მთავარია, გამოუყენებელი უნდა დარჩენილიყო?**

**ამიტომაც იქნებ მთელი ქვეყნის მასშტაბით დაგვენერგა ქარელელთა ეს ინიციატივა?**

**თქვენ რას იტყვით, საქართველოს უმაღლესო ხელისუფალნო?**

**მილენა ფულგადახლაშვილი**

**P. S. იქნებ ვინმემ იშაყირა ან, უბრალოდ, ბოროტად დასცინა ქარელელებს და მეც ლოქოსავით ხომ არ წამოვეგე მის ანკესზე-მეთქი, კი გამკრა გულში. თუ ასეა, იმედია, ქარელელები გამოგვეხმაურებიან და მაშინ უფრო საფუძვლიანად მოვუბოდიშებ.**

**მ. ფ.**



# კოლექტიური ნერონი

**გვესაუბრება ადამიანის საერთაშორისო უფლებათა ექსპერტი, პროფესორი ბიძინა სავანელი**

**— ბატონო ბიძინა, როგორ შეაფასებდით ხელისუფლების მიერ ინიცირებულ ანტირუსულ ისტერიას?**

— ნებისმიერი ხელისუფლების მხრიდან ერში შუღლის გაღვივება და მტრობის დათესვა ნებისმიერი სხვა ერის წინააღმდეგ, ნაციზმია და ჭეშმარიტ პატრიოტიზმთან მას არაფერი ესაქმება. ეს არის სულით და ხორცით ქართველისთვის უცხო, ანტიჰუმანური და ანტიმართლმადიდებლური იდეოლოგია. უფრო მეტი, ეს არის ველური ფანატიკოსების ფაშისტური იდეოლოგია. ასეთ ბინძურ პოლიტიკას მცირე ერის გახლეჩამდე, მის ზნეობრივ დაცემამდე, საზოგადოების წევრებს შორის მტრულ დაპირისპირებამდე, ერის თვითიზოლაციამდე, დასუსტებამდე და, ბოლოს, მის გაქრობამდე მივყავართ. ამ შედეგზე ხომ არ არის გათვლილი **თვითმარქვია ხელისუფლების** განზრახვა?!

ასე აძულებდნენ **კომუნისტი ბელადები** საბჭოთა კავშირში მცხოვრებთ ამერიკელ ხალხს, და ვინც ამ იდეოლოგიას არ იზიარებდა — ამერიკული იმპერიალიზმის აგენტებად აცხადებდნენ, ხალხის მტრებს უწოდებდნენ და ხვრეტდნენ ან ციმბირში ასახლებდნენ, ხოლო თავიანთ მომხრეებს პატრიოტებად ნათლავდნენ. ეს იყო უკიდურესი კარჩაკეტილობა „რკინის ფარდის“ მიღმა.

დღეს, **ჰიტლერიუგენდის ტიპის ნეოკომკავშირელი ბელადები** საქართველოში მცხოვრებთ ანალოგიურად აიძულებენ რუს ხალხს, და ვინც ამ იდეოლოგიას არ იზიარებს — რუსული იმპერიალიზმის აგენტებად აცხადებენ და მოღალატეებს უწოდებენ, ხოლო თავიანთ მომხრეებს პატრიოტებად ნათლავენ.

**სწორედ ეს არის ვუალირებული ნაციონალიზმი, უფრო შეფარული და მზაკვრული ფორმით, რომელსაც მცირე ერისთვის საშიშ კოსმოპოლიტიზმს, ანუ უკიდურეს კარგახსნილობას ვუწოდებდი. საქმე ისაა, რომ პირველად საქართველოში თვითმარქვია ხელისუფლება სიტყვით რუსებს ლანძღავს, საქმით კი რუსეთის ეკონომიკურ და მეორე მეზობლის შორსმიმავალ გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს თანმიმდევრულად ახორციელებს...**

ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან და მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოსთვის მიუღებელი იყო, არის და იქნება ლოზუნგი: „ძირს რუსეთი, გაუმარჯოს ამერიკას“ ან „ძირს ამერიკა, გაუმარჯოს რუსეთს“ (ორივე ხომ აგრესორია). ჩვენთვის მისაღები იყო, არის და იქნება ლოზუნგი: „ორივეს გაუმარჯოს, მაგრამ საქართველო, უპირველეს ყოვლისა!“

**— გასაგებია რაც ბრძანეთ, მაგრამ ემყარება თუ არა სააკაშვილის და მისი გუნდის ასეთი შეფასება კონკრეტულ ფაქტებს?**

— ფაქტები?! „ქათმებს შემოდგომაზე ითვლიან“. დადგა შემოდგომა, და რა მიიღო ქართველმა ერმა შემოდგომაზე ანტირუსული ისტერიის შედეგად?

**ფაქტი პირველი.** ოთხი წლის წინათ სიტყვით დაპირებული სოხუმის და ცხინვალის დაბრუნების ნაცვლად, მიუხედავად შეერთებული შტატების პრეზიდენტის ადმინისტაციის წარმომადგენლების მრავალი გაფრთხილებისა, თვითმარქვია ხელისუფლებამ მის მიერ წამოწყებული სამხედრო ავანტიურის შედეგად, საქმით ის გააკეთა, რომ საქართველოს ფაქტიურად დაუკარგა ერთიც და მეორეც.

არადა, 11 სექტემბერს „ეხო მოსკვის“ კორესპონდენტს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებით ამერიკის ელჩმა ჯო ბრედლიმ ერთმნიშვნელოვნად განუცხადა: **„ჩვენ დაბეჯითებით ვურჩევდით სააკაშვილს, არ ჩათრეულიყო რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციაში, რაშიც ის დამარცხდებოდა. მაგრამ სააკაშვილმა ჩვენს რჩევას ყური არ უგდო. ჩვენ საქართველოს დავეხმარეთ ჯარის შექმნაში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას ამით მწვანე შუქი მივეცით ჩათრეულიყო რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციაში.“** იგივე უკმაყოფილება უფრო ადრე გამოთქვეს კონდოლიზა რაისმა და მისმა მოადგილემ ფრიდმა.

ამერიკული სააგენტოს „ბლუმბერგის“ ჟურნალისტის შეკითხვაზე: „როგორ შეაფასებდით რუსეთ-საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტს?“, გაეროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ უპასუხა: **„ცხადია, საქართველოს შეიარაღებული ძალა, შეიჭრა რა საერთაშორისო სამშვიდობო ძალების მიერ დაცულ „სამხრეთ ოსეთის ზონაში“, აგრესიის აქტი ჩაიდინა. ამრიგად, სრულიად ცხადია, საქართველოს ხელისუფლებამ გაეროს წესდება დაარღვია.“**

**ფაქტი მეორე.** ოთხი წლის წინათ სიტყვით დაპირებული, სოხუმის და ცხინვალის დაბრუნების ნაცვლად თვითმარქვია ხელისუფლების მიერ წამოწყებული სამხედრო ავანტიურის შედეგად საქმით გაკეთდა ის, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოუსწორებელმა იმპერიალისტმა — რუსეთმა დეიურედ აღიარა, რითაც სააკაშვილმა და მისმა გუნდმა წყალს გაატანა ირაკლი ალასანიას დაუღალავი ბრძოლის შედეგად საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გაეროს 2008 წლის 15 მაისის რეზოლუციის უმნიშვნელოვანესი პუნქტი: **„თავიანთ სახლებში ყველა ლტოლვილის და ადგილნაცვალი პირის ნებაყოფლობითი, დაუყოვნებლივი დაბრუნების უზრუნველსაყოფად გრაფიკის დაჩქარების და „ეთნიკური წმენდის“ შედეგად დაზარალებულთა საკუთრების უფლებების შენარჩუნების შესახებ“.**

**ფაქტი მესამე.** როგორც კი თვითმარქვია პრეზიდენტმა კაპიტულაციას ხელი მოაწერა, იმ დღიდან სრულიად ბუნებრივად გააქტიურდა სომხეთი თავის უახლოეს დასავლელ და აღმოსავლელ მეზობლებთან დამოყვრების მიმართულებით. თავისდაუნებურად გამახსენდა ჟურნალისტის და საზოგადო მოღვაწის, ბატონ ვახტანგ ხარჩილავას ჟურნალ „ცისკარის“ ფურცლებზე 2005 წელს ნათქვამი, ფრიად საგანგაშო და საყურადღებო სიტყვები: „სომხეთი ერთ-ორ წელიწადში ისე გაძლიერდება, რომ შეიძლება აიხდინოს სანუკვარი ოცნება „დიდი სომხეთის“ შესახებ, რომელშიც ნახევარი საქართველო სომხეთის ისტორიულ ტერიტორიად არის გამოცხადებული... მართლა როგორ დავიჯერო, რომ საქართველოს ხელისუფლება ფარულად სწორედ სომხური ლობის მიერ არის დასმული ხელისუფლების სათავეში და ეს ხელისუფლება მიზანმიმართულად ახორციელებს სომხეთის ინტერესებს.“

**ფაქტი მეოთხე.** ანტიეროვნული, ქართული სახელმწიფოებრიობის დამანგრეველი და ანტიმართლმადიდებლური პოლიტიკის გამტარებელმა თვითმარქვია ხელისუფლებამ რუსეთში მცხოვრები ქართველების უზარმაზარ დიასპორას ეროვნული ფესვები მოჰკვეთა, ხოლო უცხოეთის დანარჩენ ქვეყნებში მილიონზე მეტ გადახვეწილ ქართველს სამშობლოში დაბრუნების იმედი გადაუწურა. სააკაშვილი პირდება მსოფლიოს მეორე ვარდების რევოლუციას. პირველმა რევოლუციამ სამშობლოს მესამედი დაგვაკარგვინა, მეორე — დარჩენილს დაგვაკარგვინებს. კიდევ იყვირონ მერე — „მიშა მაგარია“! სწორი შეფასება მისცა ამ კატეგორიის „ხალხს“ გუბაზ სანიკიძემ...

**ფაქტი მეხუთე.** სააკაშვილის მიერ ძალაუფლების შენარჩუნებაზე ორიენტირებული სამხედრო ავანტიურის შედეგად მკვეთრად გაიზარდა იძულებით გადაადგილებულთა, და საერთოდ, შეჭირვებულ ადამიანთა რიცხვი. ქართული სოფლები იცლება მოსახლეობისგან, ქართველობა ტოვებს საქართველოს. საბოლოო მიზანი ერთია: „საქართველო უქართველებოდ“.

**რა მივიღეთ ომის შედეგად?**

მომყავს ამონარიდი ბიბისის ანალიტიკური ვებგვერდიდან: **„ხელისუფლების მიერ დაწყებული ომი საქართველოს სრული კატასტროფით შემოუტრიალდა“.**

სააკაშვილმა განაცხადა, რომ მან რუსეთს ნიღაბი ჩამოხსნა. ეს დამარცხების გასამართლებელი პიარია. ჯერ ერთი, რუსეთს დიდი ხანია, ნიღაბი ჩამოხსნილი აქვს. საბჭოთა ისტორიოგრაფიაც კი მეფის რუსეთს ევროპის ჟანდარმად მოიხსენიებდა, ხოლო ცივილიზებული კაცობრიობა სსრკ-ს — ბოროტების იმპერიად. მეორეც, რუსეთისთვის ნიღაბის ჩამოხსნად ღირდა ამდენი საამაყო ახალგაზრდის მსხვერპლად გაწირვა?! **აქ უკვე აშკარად ისახება სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები.**

**ომის წამოწყება ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმების ტრადიციული და აპრობირებული ხრიკია, რათა ხალხის ყურადღება გარეშე პრობლემებზე გადაიტანოს.** ყველაფერ ამას დასაბამი მისცა 2004 წლის 6 თებერვალს ბურჯანაძის თავმჯდომარეობით საქართველოს პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო გადატრიალებამ.

**— რა დასკვნა შეიძლება გააკეთოს მკითხველმა თქვენს მიერ მოყვანილი ფაქტებიდან?**

— დასკვნა ერთია: საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ასეთი ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი და ანტიმართლმადიდებლური „ხელისუფლება“. ჩემი აზრით, სააკაშვილმა საქართველოს ისტორიაში უკვე მართლაც დაიმკვიდრა „მიშა დამანგრეველის“ სახელი, რადგან მან მიზანმიმართულად დაანგრია საქართველოს ეკონომიკა, ეროვნული დამოუკიდებლობა, განათლება, მეცნიერება, მწერლობა, ხელოვნება, ანუ ერის სულიერი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო, და, რაც მთავარია, კიდევ უფრო დაამცრო საქართველოს ტერიტორია.

**— რა გამოსავალს სთავაზობთ საქართველოს?**

— გამოსავალი მშვიდობიანია: პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობოებს და მთლიანად ერს მოვუწოდებ, დღეს მაინც მხარი დაუჭირონ ჩემს მიერ ჯერ კიდევ 2006 წლის 16 აპრილს გაზეთ „ცისკრის“ ფურცლებზე გაჟღერებულ მოვთხოვნას: **უშუალოდ გაეროს და ეუთოს მიერ ვადამდელი თავისუფალი და გაუყალბებელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დაუყონებლივი ჩატარების შესახებ.** დღეს, როდესაც ერის არსებობა აშკარა საფრთხეშია, ამ მიზნის მისაღწევათ გადაუდებლად აუცილებელია:

**1. ძირითადი პოლიტიკური პარტიების ლიდერები დაუყოვნებლივ მრგვალ მაგიდას უნდა მიუსხდნენ და საქართველოს გადარჩენის ტაქტიკა და მოქმედების გეგმა საწრაფოდ შეიმუშავონ;**

**2. არასამთავრობო ორგანიზაციების ერზე ორიენტირებული ლიდერები და ექსპერტები მრგვალ მაგიდას დაუყონებლივ უნდა მიუსხდნენ და საქართველოს გადარჩენის ტაქტიკა და მოქმედების გეგმა საწრაფოდ შეიმუშავონ;**

**3. ძირითადი პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა, ერზე ორიენტირებულმა არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებმა და ექსპერტებმა დაუყონებლივ უნდა შექმნან ეროვნული ხსნის კომიტეტი და ფუნქციები გაინაწილონ.**

**დღეს სხვა ხსნა, სხვა გზა, არ გაგვაჩნია, რადგან 7 ნოემბრამდე და 7 ნოემბრის შემდეგ სააკაშვილი და მისი ეროვნებაგარეცხილი(!) გუნდი კიდევ უფრო მძიმე განსაცდელს უმზადებს საქართველოს!**

**ნაციონალები „კოლექტიურ ნერონად“ მოევლინნენ საქართველოს.**

15 იანვარი, 2009 წელი

**ინფორმაცია**

## მაია ფანჯიკიძემ ელჩების მეუღლეებს უმასპინძლა

**როგორც მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს შეხვედრის შემდეგ განუცხადა, ასეთი შეხვედრა უკვე მეორედ ტარდება ამბასადორიალის ფარგლებში.**

**შეხვედრაზე ისაუბრეს სხვადასხვა თემებზე, მათ შორის იმაზე, რა არის ელჩის მეუღლის ფუნქცია.**

**— მე ვეცადე, მათთვის ერთი ამბავი მიმეტანა ახლოს, ის, რაც მე თვითონ ძალიან მაწუხებს — ეს არის საქველმოქმედო საქმიანობა, რომელიც შეიძლება პირდაპირ არ უკავშირდება საგარეო საქმეთა სამინისტროს, მაგრამ ჩვენ მაინც მოვახერხეთ, რომ ეს ასპექტიც ჰქონდეს ჩვენს მოღვაწეობას. გასული თვეების განმავლობაში რამდენიმე ინიციატივა გამოვიჩინეთ ბავშვებისთვის, რომლებიც საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ცხოვრობენ და მე სწორედ ჩემი გამოცდილების შესახებ ვესაუბრე ელჩების მეუღლეებს და ვთხოვე, გულთან ახლოს მიიტანონ ამ ბავშვების მდგომარეობა. ჩვენი ყურადღება არ უნდა შემოიფარგლებოდეს ამ ბავშვების მიმართ ერთჯერადი ჩასვლით და რაღაცის ჩატანით რომელიმე დღესასწაულზე, არამედ რაღაცნაირად შეფობა ავიღოთ რამდენიმე ასეთ სკოლაზე და მათ ისეთი დახმარება გავუწიოთ, რომელიც ერთჯერადი კი არ იქნება, არამედ გარკვეულწილად შეცვლის მათ ცხოვრებას. ეს შეიძლება იყოს რაღაცა პროექტები ხელსაქმის, ხელოსნობის და ა.შ., — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.**

ინტერპრესი

# სააკაშვილის დანაშაულებს ვერავინ „გაათეთრებს“!



**ამას წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ბატონი უჩა ბლუაშვილის სტატია — „როგორ მზადდებოდა 2008 წლის აგვისტოს ომი“.**

ბუნებრივია, ეს წელი, ისე როგორც სხვა წლები, მოვლენებით იყო დახუნძლული — ზოგი ანტონომიური, ზოგიც, — ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი ხასიათისაა. ამგვარი ვითარება საშუალებას იძლევა ყველა მოვლენა შეფასდეს სხვადასხვანაირად და თითოეულ მათგანს არსებობის უფლება ჰქონდეს. მაგრამ სააკაშვილის საქმიანობაში იყო ისეთი ფაქტები, რომ არანაირ ანტონომიას არ ექვემდებარება და მას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს. ასეთებია: თბილისიდან პარლამენტის ქუთაისში გადატანა, კოდორის ხეობაში შინაგანი ჯარების შეყვანა, თუნდაც ცხინვალის დაბომბვა სააკაშვილის ბრძანების შესაბამისად.

გულუბრყვილო მკითხველში სიცრუე შეიძლება ჭეშმარიტებად წარმოვადგინოთ, თუ მსჯელობაში გამოვიყენებთ სოფისტიკას და სქოლასტიკას. ჩემი მოსაზრებით ბლუაშვილის ზემოხსენებულ სტატიაში გამოყენებულია ჩვენ მიერ დასახელებული შავის თეთრად წარმოდგენის მეთოდები და მკითხველს სტატიის წაკითხვის შემდეგ ასეთი შთაბეჭდილება რჩება: საქართველომ უარი თქვა ისეთ პრეზიდენტზე, რომელსაც მთელი არსით შეგნებული ჰქონდა ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები და ამ პრობლემების მოსაგვარებლად სწორი მეთოდებით იბრძოდა.

საღად მოაზროვნე ადამიანების თვალთახედვით სააკაშვილი არის ერთი უმეცარი ტლუ ბიჭი, რომელმაც თავის თანამოსაქმეებთან ერთად ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით სრულიად საქართველოს შეთქმულება მოუწყო. დასანანია, რომ ეს შეთქმულება თავის დროზე ვერ ამოიცნო ქართველმა ხალხმა და საშუალება მისცა ავანტიურისტებსა და უმეცრებს ათი წლის განმავლობაში საქართველო ეჯიჯგნათ.

— სააკაშვილი და მისი თანამოსაქმეები ხელისუფლებაში მოვიდნენ აშშ-ის პოლიტიკური წრეებისა და იქაური გარკვეული დიასპორის მეშვეობით, აგრეთვე მათი მოსვლით ძლიერ იყვნენ დაინტერესებულნი კრემლის მესვეურნი. ყველა ცდილობდა, საქართველოზე მეტი გავლენა ჰქონოდა.

ზემოხსენებული დიასპორა, ეტყობა, სააკაშვილისგან დაჟინებით მოითხოვდა თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადატანას, რაც სააკაშვილმა უმოკლეს დროში შეასრულა.

დღეს სკოლის მოსწავლეებმაც კარგად უწყიან, რომ 1918 წლის დეკემბერში მენშევიკების მთავრობას ომი ჰქონდა დაშნაკებთან იმის გამო, რომ ისინი მოითხოვდნენ — თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადატანას, თბილისი ჩვენიაო. (1918—21 წ.წ. საქართველოს მთავრობის მოღვაწეობა სათანადოდ არ არის შეფასებული).

ქართველი ხალხი ჯეროვნად ვერ აფასებს რაოდენ დიდი ეროვნული დანაშაული ჩაიდინა სააკაშვილმა ზემომოყვანილი მოთხოვნილების განხორციელებით. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ამ დანაშაულისთვის მას სამუდამო პატიმრობა ეკუთვნის. შეცდომა, რაც დანაშაულის ტოლფასია, აგრეთვე არის კოდორის ხეობაში ქართული შინაგანი ჯარის შეყვანა. აფხაზები ასე თუ ისე ეგუებოდნენ ამ ხეობის საქართველოს ფარგლებში დე ფაქტოდ ყოფნას, ხოლო დე იურედ ყოფნას ვერ შეეგუენ და შედეგიც სულ მალე მივიღეთ.

სააკაშვილი რომ თვითნებურად მართავდა ქვეყანას, ესეც აშკარაა. მან დაამკვიდრა სისხლიანი რეჟიმი, რის დროსაც ხელისუფლების მიერ კაცის მოკვლა, დაპატიმრება და გაუპატიურება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მის პირად საქციელზე გაზეთები ყოველდღიურად წერდნენ. თავხედი, ფლიდი, დემაგოგი, მატყუარა, უპრინციპო, ინტრიგანი და სხვა მრავალი უარყოფითი თვისებების მატარებელი ინდივიდი — ასე ხასიათდება სააკაშვილი.

**...2008 წლის შემოდგომისთვის სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმით მოთმინებისფიალაავსებული ქართველი ხალხი ამ ურჩხულის გასაპანღურებლად ემზადებოდა. ეს გარემოება ძლიერ აშფოთებდა სააკაშვილს და ცდილობდა, ისეთი რამ გაეკეთებინა, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გული მაინც მოეგო. ეს იყო სამაჩაბლოს დაბრუნება.** მკითხველს იმასაც შევახსენებ, რომ მოვლენებს წარმართავენ უსასრულო ობიექტური ფაქტორები, რის აღქმა და ქაღალდზე გადატანა შეუძლებელია. ამიტომ მომიტევოს ყველამ, თუ ყველა კითხვაზე ამომწურავ პასუხს ვერ გავცემ.

რასაკვირველია, რუსმა სამხედროებმა კარგად გააცნობიერეს სააკაშვილის დაუოკებელი სწრაფვა საქართველოს ძირძველი ტერიტორიის დაბრუნებისთვის (გავიხსენოთ ოქრუაშვილის განცხადება რამდენიმე წლის წინ,ახალ წელს ცხინვალში ვიზეიმებთო), მისი ტლუბიჭური ხასიათი და დაიწყეს სააკაშვილის გაბიაბრუება, გაბურთავება. მოგეხსენებათ, გარეშე ძალებიდან ყველას როდი სურს საქართველოსა და რუსეთს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება. სავარაუდოდ, სწორედ ამ ძალებმა რუს სამხედროებს მოსთხოვეს (რასაკვირველია, გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ), რომ სააკაშვილი დაერწმუნებინათ — ოს სეპარატისტებთან კონფლიქტის შემთხვევაში რუსეთი ნეიტრალიტეტს დაიჭერდა. რუსი გენერლის ეს გამონათქვამიც ამაზე მეტყველებს: **„ისვრიან ოსები, ჩვენ მათ ვერ ვაკონტროლებთ“...** ეს დიპლომატიური გამონათქვამი ჩვეულებრივ ენაზე ასეც შეიძლება გადაითარგმნოს: **„თუ თქვენ გააკონტროლებთ ოსების ქმედებებს, ჩვენ ამის წინააღმდეგი არ ვიქნებით“.**

ბევრი ქართველი პოლიტიკოსი შურითაც კი აღივსო — რაღა სააკაშვილს ერგო ბედად სამაჩაბლოს დაბრუნებაო. თვითმარქვია სამხედრო ექსპერტმა თავდგირიძემ რიხით, დამაჯერებლად განაცხადა: **ომის მეშვეობით სამაჩაბლოს იოლად დავიბრუნებთ, ხოლო ამ გზით აფხაზეთის დაბრუნება ცოტა გაგვიჭირდებაო.** იმასაც ამბობენ, რომ რუსეთს ჩაფიქრებული ჰქონდა სწორედ იმ დროისთვის ომის დაწყება, არასწორია. ბუნებრივია, რუსეთი კონფლიქტურ ზონებში მუდამ მზად არის ომისთვის, და ეს არც არის გასაკვირი. რაც შეეხება 58-ე არმიის სწრაფად შემოჭრას საქართველოს ტერიტორიაზე, რასაც იმის დასამტკიცებლად იყენებენ, რუსეთს სწორედ ამ დროისთვის ჰქონდა დაგეგმილი საქართველოსთან ომის დაწყება, არასწორად შერჩეული არგუმენტია. ყველა განსწავლული სამხედროსთვის ანბანური ჭეშმარიტება არის, რომ საზღვართან დისლოცირებული არმიების სტრუქტურები თავდასხმაზეა აწყობილი, თუ ეს სახელმწიფო ძლიერია მოსაზღვრე სახელმწიფოზე, ხოლო შედარებით სუსტი სახელმწიფოს საზღვართან განთავსებული არმიების სტრუქტურები — თავდაცვაზე. ასე ვთქვათ, საველე არმიების სტრუქტურები უფრო მეტად სწრაფ მანევრირებაზეა აწყობილი.

> **საღად მოაზროვნე ადამიანების თვალთახედვით სააკაშვილი არის ერთი უმეცარი ტლუ ბიჭი, რომელმაც თავის თანამოსაქმეებთან ერთად ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით სრულიად საქართველოს შეთქმულება მოუწყო.**

ერთი საკითხიც არის გასარკვევი. საქმის კურსში იყო თუ არა კრემლი სამაჩაბლოში მყოფი სამხედროების საქმიანობის შესახებ? იმჟამინდელი ვითარება იმას გვიდასტურებს, რომ — არა. პუტინი პეკინში მიმდინარე ოლიმპიადას არხეინად უყურებდა. სულ არ ჰგავდა იმ სახელმწიფოს მეთაურს, რომელმაც ომი გააჩაღა მეზობელ სახელმწიფოსთან. რუსი სამხედროები პატაკს ხომ არ ჩააბარებდნენ კრემლს — ბედოვლათ სააკაშვილს ვატყუებთ, რომ ოსებთან კონფლიქტში რუსები ნეიტრალიტეტს დაიჭერს, ამისთვის მავანნი ცოტაოდენ ფულს გვიხდიანო და ასე შემდეგ.

ცნობილია, რომ ჩეჩნებთან კონფლიქტში რუსი სამხედროები იარაღით ვაჭრობდნენ ჩეჩენ მეამბოხეებთან. განა ამის შესახებ რამე იცოდა კრემლმა? ამგვარი დანაშაულისთვის რუსი სამხედროები ხომ უმალვე სასჯელს იმსახურებდნენ.

მოსალოდნელი საპროტესტო გამოსვლებით შეშინებულ, სასოწარკვეთამდე მისულ სააკაშვილს ფერი მოეცვა — არც ერთმა ქართველმა გენერალმა პროტესტი არ გამოთქვა სააკაშვილის ჩანაფიქრის საწინააღმდეგოდ, მრავალი ქართველი პოლიტიკოსი შურითაც კი აღივსო სააკაშვილის მოსალოდნელი წარმატების გამო, რუსი სამხედროებისაგან გარანტია მიიღო, თითქოს რუსეთი ნეიტრალიტეტს დაიჭერდა.

ილუზიებით გაბრუებული და მთვრალი სააკაშვილი არავითარ რჩევას არ იღებდა. ბუში და კონდოლიზა რაისი დღენიადაგ ჩასჩიჩინებდნენ მას, რომ რუსეთთან ყოველგვარი კონფლიქტი მშვიდობიანად მოეგვარებინა. მას, ალბათ, ყოველწამიერად წარმოედგინა ცხინვალის დაბომბვა და გამარჯვების შემდე ტრიბუნები და დროშები, რაც წინასწარ გაამზადეს და სატვირთო მანქანებში ჩატვირთეს. რასაკვირველია, მარტო მე არ ვიყავი — ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი შეაშფოთა სააკაშვილის უგუნურმა ქმედებამ და ველოდით კატასტროფას.

ქართველმა ხალხმა კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა — ომის მსვლელობისას არ გადააყენა სააკაშვილი. დაუჯერა ფსევდოპოლიტიკოს გამყრელიძეს — სააკაშვილის გადაყენებასთან დაკავშირებით მორატორიუმის გამოცხადების თაობაზე. თითქოს სააკაშვილი დიდი გამჭრიახი მთავარსარდალი გვყავდა, რომ ომის ბედი გადაეწყვიტა. **ომის მსვლელობისას უნდა გადაგვეყენებინა ეს ტაკიმასხარა, ამით თავიდან ავიცილებდით ახალგორის დაკარგვას (იქნებ — კოდორის ხეობისაც). შეიძლება თავიდან აგვეცილებინა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას.**

კრემლმა ამ დროს დანის პირზე იარა. გაეროში სათანადო დოკუმენტი გაგზავნა: სააკაშვილი მშვიდობაინ მოქალაქეებს ბომბავს და საჭიროა სათანადო ზომების მიღება ამ ვანდალური ქმედების ასალაგმავად, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებ მშვიდობიანი მოსახლეობა და რუსი სამშვიდობოები საკუთარი ძალებით დავიცვა. გაერო არ ჩქარობდა. ალბათ, ასე ფიქრობდა: თუ სააკაშვილი დაიბრუნებს საქართველოს კუთვნილ ტერიტორიას, ამის საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვექნება. სააკაშვილი რის დამბრუნებელი იყო — ქვეყანა კატასტროფის წინაშე დააყენა.

რუსები არც თბილისში შემოჭრას აპირებდნენ, აკი, მედვედევმა ომის დაწყების პირველსავე დღეს განაცხადა: ჩვენ ქართველი ჯარისკაცებისგან ვათავისუფლებთ ცხინვალს და მის შემოგარენსო. კრემლი აშშ-ს დღენიადაგ შეახსენებდა ერაყის დაპყრობას, თუ რა არაადამიანურად მოექცნენ სადამ ჰუსეინის ვაჟებს და მასაც. ვიტყოდი: კრემლის ხელში ერაყის ამბები დიდი კოზირი იყო. თუ რუსები თბილისში შემოიჭრებოდნენ, რასაკვირველია, ამ კოზირს მყისიერად დაკარგავდნენ. მაგრამ ვერ წარმოედგინათ, ამ ომის შემდეგ ქართველი ხალხი სააკაშვილს დაუსჯელად გაუშვებდა. დაუსჯელად კი არა, კვლავ პრეზიდენტად აირჩიეს. თუმცა, ხალხი გვიან მოვიდა გონს და ქვეყნის დამაქცევრები და მათი მეთაური სააკაშვილი ამჟამად სრულიად სამართლიანად განსასჯელად სასამართლოს გადასცეს.

სააკაშვილს და მის მომხრეებს ხომ არ ჰგონიათ, რომ ქართველ ხალხს დაავიწყდა ომის დაწყების პირველ დღეს ხბოსავით აღტკინებული, გახარებული სააკაშვილი ტელევიზიით რომ გამოვიდა და ასე განაცხადა: სულ მალე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას მთლიანად გავაკონტროლებთ, მაგრამ კიდევ უფრო სასიხარულოა ის ფაქტი, რომ რუსეთი ამ კონფლიქტში ნეიტრალიტეტს იჭერს. გაუშვან ტელეჩანაწერი ეკრანზე და ხსენებული ფაქტიც დადასტურდება.

რასაკვირველია, რუსეთის გადაჭარბებული აგრესია ყველა სახელმწიფომ დაგმო, მაგრამ ბუშის სიტყვებიდან გამომდინარე - რუსეთის ქმედება საქართველოსთან მიმართებაში არაპროპორციული იყო. ესე იგი სააკაშვილმა წამოიწყო ომი, მაგრამ საქართველოს დასჯა ამის გამო რუსეთს გადაჭარბებული გამოუვიდაო.

**სააკაშვილი და მისი მომხრეები ირწმუნებიან, რომ იმ მომენტისათვის რუსეთი ემზადებოდა ომისთვის. ასე თუ იყო, მაშინ მთელ სასაზღვრო ზოლში უნდა აღმართულიყო თავდაცვის ზღუდეები, განხორციელებულიყო საზღვრისპირა რეგიონში მოსახლეობის ევაკუაცია და საქართველოს მთავრობას გაეროსთვის, დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის მიემართა შესატყვისი თხოვნით. ასე მოიქცეოდა ჭკვიანი მთავრობა და არა ისე, როგორც მოიქცა უვიცი სააკაშვილი.** საქართველო-რუსეთის ომში სააკაშვილის დადანაშაულება საქართველოს კი არ ავნებს, არამედ სიკეთეს მოუტანს. ჯერ ერთი, მიგვიჩნევენ სიმართლის მოყვარულ ხალხად, შევლენ ჩვემს მდგომარეობაში და დახმარების ხელს უფრო მეტად გამოგვიწვდიან. აგრეთვე, საზღვარგარეთის ზოგი სახელმწიფო, რომელიც დღემდე იცავს სააკაშვილს, მოსაზრებას შეიცვლის. თუ ჩვენ გავამართლებთ სააკაშვილს და მის მომხრეებს, მავანნი ყოველთვის მზად არიან ეს ავანტიურისტები და გახრწნილები კვლავ ხელისუფლებაში დააბრუნონ.

ერი თანმიმდევრულად უნდა იქცეოდეს — თეთრზე თეთრი თქვას და შავზე შავი. თუ ასე არ მოვიქეცით, დავიმკვიდრებთ თაღლითი ერის სახელს.

ჩვენ, რუსეთს და ყველას, ვინც ჩვენი სახელმწიფოებრიობის ინტერესებს შებღალავს, უნდა შევებრძოლოთ სიმართლით და არა ტყუილებით, თვალთმაქცობით. პატარა ერის გადარჩენის მთავარი იარაღი სიმართლეა!

**ვაჟა ჟღენტი,**
**საბჭოთა პერიოდის საქართველოს პოლიტპატიმართა გაერთიანების თავმჯდომარე**

**უზენაესი სასამართლო**



# ტურავა თუ იმერლიშვილი – მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, თუ პარტიის ინტერესების ერთგულება?

## ვინ მოირგებს ქვეყნის პირველი მოსამართლის მანტიას?

**საქართველოს კონსტიტუციის 90-ე მუხლის მიხედვით საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებითა და სიითი შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტი ირჩევს 10 წლის ვადით. მოქმედ თავმჯდომარეს, კოტე კუბლაშვილს 10-წლიანი ვადა 2015 წლის 23 თებერვალს ეწურება.**

**საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისგან განსხვავებით, კონსტიტუცია კუბლაშვილს არ უზღუდავს მეორე ვადით სასამართლოს ხელმძღვანელად გამწესებას, თუმცა, უკვე ცნობილია, რომ ხელისუფლება ამ თანამდებობაზე კუბლაშვილის კანდიდატურას არ წარადგენს.**

**For.ge-ს ინფორმაციით ამ თანამდებობაზე ორი კანდიდატურა განიხილება, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, გენერალი ირინა იმერლიშვილი და უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე მერაბ ტურავა. კულუარებში ამბობენ, რომ ხელისუფლება არჩევანს ირინა იმერლიშვილზე გააკეთებს, რომელმაც „რესპუბლიკური პარატიიდან“ „ქართული ოცნებაში“ გადაინაცვლა.**

ხელისუფლებასთან დაახლოებული წყარო for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ უშიშროების საბჭოს მდივანი პრეზიდენტსა და პრემიერს შორის მედიატორის როლს ასრულებს. პრეზიდენტს არწმუნებს, რომ არ გაამწვავოს ვითარება აღმასრულებელი ხელისუფლების პირველ პირთან. უშიშროების საბჭოს მდივანი ასევე ესწრება პოლიტსაბჭოს სხდომებსაც.

უშიშროების საბჭოში არ ადასტურებენ იმერლიშვილის დაწინაურებას და აცხადებენ, რომ მოქმედი თავმჯდომარე არის კოტე კუბლაშვილი, რომელსაც საკონსტიტუციო ვადა ამოწურული არა აქვს.

რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს მერაბ ტურავას — განმარტავენ, რომ უზენაესი სასამრთლოს თავმჯდომარე უნდა იყოს იურისტი, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ობიექტური. მისი თქმით, ეს სამივე თვისება ადამიანმა უნდა გამოამჟღავნოს მას შემდეგ, რაც ის ამ თანამდებობაზე დაინიშნება და პოზიტორია, როდესაც ქვეყნის პირველი მოსამართლე არაა პოლიტიკური ფიგურა. რაც შეეხება საკუთარ კანდიდატურას, ტურავას თქმით, მასთან ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა.

**„კონკრეტული საუბარი ჩემთან არ ყოფილა. არ დაგიმალავთ, რომ მეც მოვკარი ყური პოლიტიკოსების განცხადებას, მაგრამ შემოთავაზება იმ პირებისგან, ვინც არის გადაწყვეტილების მიმღები, არ ყოფილა. ვერაფერს გეტყვით, შიგნით რა საუბრები მიდის, ამ საკითხზე არ მიფიქრია.**

**ვისურვებდი, რომ ისეთი პიროვნება გახდეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც იქნება დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი, რომელიც მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას. რაც შემეხება მე და ჩემს დამოუკიდებლობას, ეს შეუძლია განსაჯონ პროკურორებმა და ადვოკატებმა, რომლებიც ჩემს პროცესებში ღებულობდნენ მონაწილეობას მთელი 7 წლის განმავლობაში“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას მერაბ ტურავამ.

ექსპერტები თვლიან, რომ მნიშვნელოვანია ქვეყნის პირველი მოსამართლე გახდეს არა პოლიტიკოსი, არამედ იურისტი, რომელიც არ იქნება დამოკიდებული პოლიტიკურ ძალასთან, როგორც ეს კოტე კუბლაშვილის შემთხვევაში მოხდა.

ვინ გახდება ქვეყნის პირველი მოსამართლე, ყველა ქვეყანაში ამას ის პოლიტიკური ძალა წყვეტს, რომლის ხელშიც არის საპარლამენტო უმრავლესობა. სხვა ქვეყნის გამოცდილებას თუ გავითავლისწინებთ, სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნული პირი, რომელიც ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალასთან ასოცირდება, ტოვებს პოლიტიკურ პარტიას, რომ არ იყოს ამ პოლიტიკური ძალის ინტერესების გამტარებელი სასამართლო ხელისუფლებაში.

იურისტი გელა ნიკოლაიშვილი ამბობს, რომ როდესაც პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტი ირჩევს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, თავისთავად, ის უკვე არის ანგარიშვალდებული უმრავლესობის წინაშე. მისი განმარტებით, აქ უფრო პიროვნულ თვისებებს აქვს მნიშვნელობა.

**„უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე წმინდა მენეჯერია, რომელმაც უნდა გაატაროს სასამართლო სისტემაში დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის პოლიტიკა. თუ ეს პიროვნება (არ აქვს მნიშვნელობა ვინ იქნება) წინა პლანზე აყენებს საქმეს, დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას და არაპარტიულობას, ასეთი შეიძლება იყოს პარტიის წარმომადგენელიც და ასეთი შეიძლება იყოს წმინდა პროფესიული წრეებიდანაც არჩეული. ამიტომ, მხოლოდ ის, რომ პარტიულია და არ შეიძლება მისი წინა პლანზე წამოწევა, არაა არგუმენტი. პარტიულია პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, ის მშვენივრად ახერხებს ნეიტრალურობის შენარჩუნებას, მიუხედავად იმისა, რომ არის „რესპუბლიკური პარტიის“ სახე. თავისუფლად შეიძლება ეს ითქვას დავით ბაქრაძეზეც.**

**ასეთი ტიპის ფიგურები თუ იქნებიან, რომლებიც საკუთარ თავს დაავალებენ პროფესიული ნიშნით საქმის წარმართვას, მაშინ ნებისმიერი ასეთი პიროვნება მისაღებია, მაგრამ ისეთი პარტიული აქტივისტები, როგორც ერთი მხრივ, არის კანდელაკი, დარჩიაშვილი და მეორე მხრივ — საგანელიძე, ვოლსკი, ქუცნაშვილი თუ სხვა აქტივისტები, ასეთი ფიგურა, რა თქმა უნდა, მიუღებელი იქნება“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას გელა ნიკოლაიშვილი.

**თამთა ქარჩავა**

**ცხოვრების დონე**

# როცა შემოსავალი გასავალს ძლივსღა ფარავს...

**საზაფხულო არდადეგების დადგომამდე პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტში მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ინდიკატორული პარამეტრები განიხილეს. ერთ-ერთ სხდომაზე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაისად ინფლაცია 5-5,5 პროცენტის ფარგლებშია, დაგეგმილი, მთლიანი შიდა პროდუქტი კი თითქმის გაორმგდება. სხვა პარამეტრებს თავი რომ დავანებოთ, მარტო ამ ორი მაჩვენებლის შეფასებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის აღმავლობის კვალდაკვალ მოსახლეობის კეთილდღეობაც მატულობს, თუმცა, ბოლო წლების მანძილზე ხალხის უმეტესი ნაწილის ცხოვრების დონე სტაბილურად ქვეითდება, რასაც ეროვნული სტატისტიკაც მოწმობს.**

საქსტატის მონაცემებს თუ დავეყრდნობით, ბოლო წლებში ქვეყანაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი (მართალია, კერძო და სახელმწიფო სექტორებს, ასევე ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად), წლიდან წლამდე მატულობს. ამას კი, ინფლაციის დაბალი ტემპის გათვალისწინებით, მოსახლეობის მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, შესაბამისად, ცხოვრების დონის ამაღლება ახლავს. ამ შემთხვევაში ერთბაშად რამდენიმე პარადოქსულ მომენტთან გვაქვს საქმე: ერთი, რომ საშუალო ხელფასების გამოყვანისას სახელმწიფო მაღალჩინოსნების წლიური ასიათასიანი შემოსავალი და დაბალანაზღაურებადი მოსამსახურეების ხელფასები „ერთ ქვაბშია“ თავმოყრილი და მერე საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელია გამოყვანილი, რაც აბსოლუტურად არ შეესაბამება არსებულ მდგომარეობას; **მეორეც** ის, რომ ინფლაციის ტემპი ოფიციალურად დადგენილზე მაღალია; **მესამე** მომენტი ის გახლავთ, რომ სამომხმარებლო ფასები უმნიშვნელო, ასე ვთქვათ, „წერტილოვანი“ და მოკლევადიანი კლების შემდეგ, განსაკუთრებული „მონდომებით“ იზრდება; **მეოთხე** ისაა, რომ პენსიებისა და ხელფასების მატება კი არა, ეს საკითხი განსახილველად დაგეგმილიც კი არ არის(?!)...

ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ დიდ ხანს შეიძლება, მაგრამ მოდით, აქ შევჩერდეთ და დასკვნის სახით ვთქვათ, რომ ხალხის ცხოვრების დონე ბოლო წლებში არანაირად არ ამაღლებულა, რის დასტურად ელემენტარული სტატისტიკის მოყვანაც საკმარისია.

**ფულად დანაზოგებს ისევ ვალებით თუ შევქმნით...**

თავდაპირველად იმ საყოველთაოდ ცნობილ ამბავს შეგახსენებთ, ბატონებო, რომ **მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პირობის გაუმჯობესებაში, მატერიალური კეთილდღეობის ზრდაში უნდა აისახებოდეს. ამ უკანასკნელის დონეზე კი, სხვებზე უკეთ, შემოსავალ-გასავლის სხვაობა მიანიშნებს: რაც უფრო მეტია ეს სხვაობა შემოსავლის სასარგებლოდ, მით უფრო მაღალია კონკრეტული პირის, ანდა საზოგადოების ამა თუ იმ ფენის მატერიალური კეთილდღეობის დონე.** ჰოდა, ამ მარტივი მაჩვენებლით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში მოსახლეობის უმეტეს ნაწილზე მატერიალური კეთილდღეობის ტემპით ზრდა მხოლოდ იმის გამო ვერ აისახება, რომ იგი, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შარშანდელი მონაცემებით, **დაახლოებით 17 ლარს შეადგენდა, ანუ 2 პროცენტს არ აღემატებოდა(!?). კერძოდ, ერთი შინამეურნის საშუალო შემოსავალი იყო 906,9 ლარი, გასავალი — 890,9 ლარი, სხვაობა კი 16,9 ლარს, ანუ 1,8 პროცენტს შეადგენდა!**

თქმა არ უნდა: ბოლო წლებში ხალხის მთლიანი შემოსავალი გაიზარდა ( აშკარად არაპროპორციულად, უფრო მეტად მაღალჩინოსნებისა და კერძო სექტორის ტოპ-მენეჯერთა ხარჯზე, თუმცა, ეს სხვა ლაპარაკის თემაა), მაგრამ ამის პარალელურად გაიზარდა საქონლისა და მომსახურების ფასებიც, გადასახადებიც, რასაც ინფლაციაც დაერთო, ამასთან ერთად მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის შემოსავალ-გასავალი ნულოვან მაჩვენებელთან ახლოს ტრიალებს. თავად განსაჯეთ: შემოსავალ-გასავალს საშუალო სხვაობის მიხედვით ბოლო წლებში საუკეთესო 2010 წელი იყო, როცა ის 31,4 ლარს, ანუ 4,8 პროცენტს შეადგენდა. მას შემდეგ კი ეს მაჩვენებელი ნახტომისებურად იცვლება და იკლებს: 2011 წელს იგი 2,4 პროცენტს შეადგენდა, 2012 წელს — 2,8 პროცენტს.

**არადა, შემოსავალსა და გასავალს შორის მინიმალური ზღვარი 15 პროცენტზე გადის — ამ ნიშნულს ქვევით ჩამოსვლა განვითარებადი ქვეყნებისთვის სიღარიბის დამადასტურებელ მაჩვენებელს ნიშნავს. მაშასადამე, თუკი ამ პარამეტრით ვიმსჯელებთ. საქართველო დღესდღეობით ულარიბესი განვითარებადი ქვეყანაა.**

აღნიშნული გარემოება საქართველოს მსოფლიოს ულარიბესი ქვეყნების მწკრივში აყენებს, რასაც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკვლევა ადასტურებს. ეკონომიკური წინსვლა, ვთქვათ, ახალი ამოქმედებული საწარმოები და ამით უმუშევრობის დონის შემცირება, წლიდან წლამდე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა და სხვ. მოსახლეობის ცხოვრების დონეზე რეალურად არანაირად არ აისახება და პოზიცია-ოპოზიციურ ძალებს შორის გაუთავებელი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არაფრის მომცემი შეხლა-შემოხლის საგნადაა ქცეული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ამჟამად უმთავრესად მომსახურების სფეროს ხარჯზე იზრდება და არა რეალური წარმოებისა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ქვეყანაში ხელშესახები პროდუქციის წარმოების დონე უაღრესად დაბალია.

**წლების მანძილზე კი ხელისუფლებისგან მხოლოდ ეკონომიკურ წინსვლაზე ლაპარაკი გვესმის, რაც, უფსკრულის პირზე მდგარი ქვეყნის ეკონომიკისთვის, ცოტა არ იყოს, სახიფათოა...**

მოსახლეობის დუხჭირი ცხოვრება, როცა მთავარი საფიქრალი შიმშილისთვის თავის დაღწევა და ჯანმრთელობაზე მინიმალური ზრუნვაა, საქართველოში კიდევ დიდ ხანს გაგრძელდება, თუ კვლავაც გატარდება არამართებული ფულად-ეკონომიკური პოლიტიკა და სწორად არ დაიგეგმება მიკროეკონომიკური პარამეტრები. თუ ასე არ მოხდება, ეროვნული ეკონომიკა კვლავაც დეფორმირებული, ხოლო შიდა ბაზარი იაფიან, უხარისხო იმპორტზე იქნება ორიენტირებული, არ აღდგება სოფლის მეურნეობა და ა. შ.

ამას არანაირი საექსპერტო შეფასებები და საერთაშორისო კონფერენციების მოწვევა არ სჭირდება, ეს, რომ იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.

**ოთარ ტურაბელიძე**

№155-156. პარასკევი. 8 აგვისტო. 2014 წელი.



ზაურ ბედია

# ის ბოლომდე ერთგული დარჩა

...დასაბამიდან ქართველი ერის არსებობის წიაღში მისი ეროვნული ენერგია – გარეშე და შინაური მტრების მოგერიებაში იხარჯებოდა; ათასწლეულებს გავუძელით და აი, ქრისტეს დაბადებიდან ორი ათასეული წლის მერეც ვირჯებით.

რა არ გადახდენია საქართველოს, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავზე. რას არ ეცადნენ ჩვენი მტრები მის მოსასპობად, მაგრამ საქართველო ისევ მწყობრშია და იბრძვის უკეთესი მომავლისთვის. მისი გონიერი შვილები ყოველმხრივ ცდილობენ გაუხანგრძლივონ სიცოცხლე დედა-მშობელს. ომების წარღვნებმა, დამეწყრილი წლების ზვავებმა ვერ იავარქმნეს კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანის სხეული, მისი არსებობის მიზანი, მისი ენერგია და ლტოლვა ნათელი სიცოცხლისთვის.

ყოველ ეპოქას თავისი სახელიანი (ხშირად უსახელო) გმირი ჰყავს, რომელიც დრამატულად საჭირო დროს სამშობლოს სამაგალითო ფარი და ყველასათვის მისაბაძი ხდება. ცოტნე დადიანის სახელი, მისი საქმენი საგმირონი მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტოა.

დიდ სახელმწიფოებრივ საქმეებში მეფეები, პოლიტიკური ხელმძღვანელები მამაც გმირთა მხარდაჭერის გარეშე ვერაფერს გახდებოდნენ. ამას ადასტურებს უკანასკნელ ათასწლეულებში საქართველოში დატრიალებული არაერთი გმირული ეპოპეა. **ამის მაგალითია სამშობლოს ზვარაკივით შეწირული ზვიად გამსახურდიას ცხოვრების წესიც. კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა ხორცთასა, სავსე სამშობლოსადმი სიყვარულითა და ლოგოსით, განმზრახი, სვიანი, თანაგამკაფველი ყოველთა გზათა, რომელმაც ქართველობას ორსაუკუნოვანი სანუკვარი ოცნება – თავისუფლება აღასრულა. მერე რა, თუ ეგ ყველაფერი მაქციერ ქართველთა შავმა ზრახვამ ანგარებით ისევ უსაშველოდ გრძელ ღამედ აქცია; იაკობისა და ესავის ბრძოლაში ისევ უგუნურთა ზრახვამ გაიმარჯვა... გრაალის მცველნი მიჰფანტ-მოჰფანტეს და სამშობლო გაანადგურეს. ასეთი რამ გვჩვევია ქართველებს. დღეს საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი დარჩნენ წმინდა ილიასა და ზვიადის გზის მიმდევარნი. ბევრმა „ჭირსა შიგან“ გამაგრება ვერ შეძლო.**

ვინც დარჩა და ბოლომდე უერთგულა თავისუფლების გზას, მათ არ დაივიწყებს შთამომავლობა, ავანტიურისტებს, მოღალატეებს ივიწყებს ჟამთააღმწერელი...

ვინც ბოლომდე ერთგული დარჩა თავისუფლების ყოვლისშემძლე გრძნობისა, სიტყვით და საქმით ის რჩება შთამომავლობისთვის სამაგალითოდ; ერთ-ერთი მათგანი ამ ბოლოჟამინდელ საქართველოში საჰაერო ხომალდ „ტუ-134-“-ის ყოფილი ლეგენდარული მეთაური ჩვენი თანამედროვე **ზაურ ბედიაა.**

ზაურ ბედიას ფანტასტიკური მცდელობით იქნა დახსნილი სომხეთში დევნილობაში (ტყვეობაში) მყოფი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია... როგორ და რანაირად? ეს ყველაფერი დაწვრილებით აღწერილია მის ბესტსელერში – „ზვიად გამსახურდიადან ჯოჰარ დუდაევამდე“.

წიგნი ლიტერატურულად დაამუშავა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ანტონ ფურცელაძის ბადიშმა **ცირა ფურცელაძე-ივარდავისამ,** რომლის ერთ-ერთ თავს გაზეთი საანონსოდ დღეს წარმოგიდგენთ.

**დილარ ივარდავა**

# ზვიად გამსახურდიადან

...1988 **წელს** ჩავები ეროვნულ მოძრაობაში. აეროპორტში აქტიურად ვეწეოდით ანტიკომუნისტურ პროპაგანდას: ნუგზარ კალანდია, მზია მამულია (მამფორია) და მე. ბევრი მხარდამჭერიც შემოვიკრიბეთ. ქალაქიდან მოდიოდა ბ-ნი მალხაზ გაბელაია, რომელიც ხელმძღვანელობდა ჩვენს გუნდს. ზვიადისა და მერაბის იდეები, რომლებსაც ტელევიზიით ვისმენდით, დიდ გავლენას ახდენდა ჩვენზე.

მე და ჩემი მეგობარი დავით ჭურღულია მისი „ჟიგულით“ 8 აპრილს ჩამოვედით თბილისში და ჩვენი თვალით ვნახეთ ყველაფერი. იძულებულნი ვიყავით ღამე ისევ სოხუმში დავბრუნებულიყავით, რადგან მეორე დილით, 7 საათზე უნდა შემესრულებინა რეისი სოხუმი-სვერდლოვსკი. რომ წარმოგვედგინა რა მოხდებოდა გვიან ღამით, როგორ მივატოვებდით თბილისელებს. ამაზე ლაპარაკს აღარ დავიწყებ, რადგან ისედაც ყველამ ყველაფერი იცის.

არც იმაზე ვიტყვი, როგორ ერთსულოვნად ავირჩიეთ ბ-ნი ზვიადი პრეზიდენტად, როგორ ებრძოდნენ სამშობლოს მოღალატეები (სამწუხაროდ, ჩვენი ინტელიგენციაც), როგორ აიძულეს დაეტოვებინა სანუკვარი სამშობლო. ამასთან დაკავშირებით მთელი პასუხისმგებლობით ვიტყვი ერთს: ყველაფერში ვადანაშაულებ კიტოვან-იოსელიან-სიგუას არაკაცობას, სამშობლოს გამყიდველთა ჯგუფს, რომელთაგან, სამწუხაროდ, არავინ დასჯილა.

**მე გიამბობთ იმას, რაც ნაკლებად იცის ქართველმა ხალხმა.**

* * *

1992 **წლის** 10 იანვარს საღამოს 5 საათზე ჩამოვფრინდი კიევიდან, დისპეტჩერმა დაჯდომისთანავე გამაფრთხილა, რომ სასწრაფოდ გამოვცხადებულიყავი აეროპორტის უფროსთან, ბ-ნ ზაურ ხაინდრავასთან.

უფროსის კაბინეტში დამხვდა ექვსი ფაფახიანი უცხო მამაკაცი, გოჩა ბახია და რამდენიმე უცნობი. ბ-ნმა ზაურმა ჩემი თავი წარუდგინა დამხვდურებს, ამიხსნა საქმის ვითარება და მითხრა:

– შენ გეკისრება ბ-ნ ზვიად გამსახურდიასა და მისი ოჯახის გადარჩენა, რომლებიც იმყოფებიან სომხეთში.

მე დიდი სიხარულით დავთანხმდი. არც დავფიქრებულვარ და ვკითხე:

– სოხუმში?

– არა! ჯერ გროზნოში უნდა გავფრინდე, იქ აგიხსნიან ყველაფერს.

ჩვენმა საუბარმა უცხო სტუმრები, რომლებიც დაძაბულნი გვისმენდნენ, გაამხიარულა, გოჩა ბახია გადამეხვია და გადამკოცნა. მე მხოლოდ შორიდან ვიცნობდი მას.

მეორე დღეს ჩემი ეკიპაჟით – მეორე მფრინავი ოთარ შენგელია, ფლაგმანი ვლადიმერ არუთუნოვი და ბორტ-ინჟინერი გალაქტიონ ნემსაძე (სამწუხაროდ, დღეს არცერთი აღარ არის ცოცხალი) და ყველა ის ადამიანი, რომლებიც ბ-ნ ხაინდრავასთან გავიცანი, გავფრინდით გროზნოში.

* * *

**გროზნოს** აეროდრომიდან ჩემი ეკიპაჟის წევრებთან ერთად წაგვიყვანეს პრეზიდენტის რეზიდენციაში, დაგვაბინავეს და გვითხრეს – ბატონი ჯოხარი მოვა და ყველაფერს აგიხსნითო.

ღამის 12 საათზე დაცვის წევრები ახმაურდნენ, პრეზიდენტი მოდისო. ჩვენც მოვემზადეთ შესახვედრად. შემოვიდა, ყველას სათითაოდ გადაგვეხვია ძველი ნაცნობებივით, ვაჟკაცურად. დანახვისთანავე მოვიხიბლეთ მისი ქცევით, გარეგნობით, საუბრით. ნამდვილი გენერალი იყო. მერე მომმართა:

– ბ-ნო ორესტი, შევიდეთ ჩემს კაბინეტში, იქ ვისაუბროთ.

სიმართლე გითხრათ, დღესაც არ ვიცი, ვისი რეკომენდაციით დამავალეს ამხელა საპატიო და საპასუხისმგებლო მისია, რით დავიმსახურე. გული სიამაყით მქონდა სავსე, მე გამომარჩიეს! იმანაც გამაოცა, ბ-ნმა ჯოხარმა ჩემი ნამდვილი, ოფიციალური სახელით – ორესტი – რომ მომმართა. ნაცნობ-მეგობრები ხომ ზაურს მეძახდნენ...

– ბ-ნო ორესტ, ორი-სამი დღე მოგიწევთ აქ ლოდინი. გაირკვევა ყველაფერი, დავსახავთ ღონისძიებებს და შევუდგებით თქვენი მისიის შესრულებას.

ორი დღე ძალიან გაიწელა. მე და ეკიპაჟის წევრები ვნერვიულობთ, გვეჩქარება ჩვენს პრეზიდენტთან შეხვედრა.

ამ დროის განმავლობაში მე და ბ-ნმა ჯოხარმა კარგად გავიცანით ერთმანეთი, შეიძლება ითქვას, დავძმაკაცდით. როცა გავიგე, რომ გენერალს ჩემზე ბევრად ნაკლები საათები ჰქონდა ნაფრენი, გამიკვირდა. თურმე, სამხედრო მფრინავები წელიწადში 100-120 საათს დაფრინავენ, ჩვენ, სამოქალაქოები კი 600-700 საათს. ერთმანეთს ბევრი გავუზიარეთ საკუთარი გამოცდილებიდან, როგორც კოლეგებმა. დავსახეთ ვარიანტებიც. აღვნიშნეთ, რომ ყველაზე მეტი საფრთხე რუსეთის მხრიდან მოგველოდა, რადგან გროზნო მის ზონაში იყო. ორივემ დავასკვენით, რომ რისკი მაქსიმალური იყო.

* * *

**მესამე** დღეს ნანატრი დილა გაგვითენდა. გათენებისას (მე მგონი, ბ-ნ ჯოხარს საერთოდ არ სძინებია) ბ-ნმა ჯოხარმა დამიბარა, მხარზე ხელი გადამხვია და მითხრა:

– ღმერთი იყოს შენი და შენი პრეზიდენტის მფარველი!

მე მაშინვე მხედრულად, მხიარულად ვუპასუხე:

– მზად ვარ ვემსახურო ჩემს პრეზიდენტსა და ჩემს სამშობლოს!

მერე გადამეხვია ვაჟკაცურად, კავკასიურად და მითხრა:

– დაჯექი, კიდევ ერთხელ გადავამოწმოთ ჩვენი ვარიანტები...

გავიდა საათზე მეტი. იღებს ყურმილს და ვიღაცას ურეკავს. მესმის:

– Слушай, мужик, хоть один волосок упадет с президентского головы,я тебя кислородом перекрою! და ყურმილი დააგდო. მივხვდი, რომ ზვიადზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ვის ელაპარაკებოდა ასე უხეშად, ვერა და ვერ შევეკითხე.

– Да, с этом армянском, Тер-Петросяном.

მომიბრუნდა და მეუბნება:

– ამ ოპერაციას უხელმძღვანელებ შენ, როგორც ქართველი. ეს პოლიტიკურადაც გამართლებული იქნება, თუ გაიძულებენ რუსეთში ან სადმე სხვაგან დაფრენას.

ეს სწორი გადაწყვეტილება იქნება.

* * *

**გროზნოდან** იმ დღესვე 2 საათზე გამოვფრინდი. საწვავი საკმარისი მქონდა. თან მომყვებოდა ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და ორი ახალგაზრდა კარატისტი ბიჭი იარაღის გარეშე. თბილისში შემოსვლისას დისპეტჩერს ვუთხარი არასწორი ნომერი, რადგან სოხუმის თვითმფრინავების ნომრები ყველამ იცოდა. შემეკითხნენ: საიდან მოვდივარ, სად მივდივარ და რატომ არ მუშაობს აპარატი, რომელიც სპეციალურად გამოვრთე. რატომ არ იყო კალინინგრადიდან რადიოგრამა. ვუპასუხე, რომ ეს ჩემი კი არა, მისი საქმე იყო, მე კი მივდივარ ერევანში სპეცრეისით.

სომხეთის ზონაშიც იგივე შეკითხვები დამისვეს, მეც იგივე პასუხები გავეცი. ასე ჩავფრინდი ერევანში. დისპეტჩერი მეკითხება:

– რისთვის ჩამოხვედი? – რა უნდა წავიღო თქვენგან, კონიაკის მეტი? – კითხვაზე კითხვით ვუპასუხე.

დამაყენეს პერონის ბოლოს, საწყობთან ახლოს. მოაყენეს ტრაპი და ჩამოვედი მე და ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს), დანარჩენები თვითმფრინავში დავტოვეთ. კაციშვილი არ დაგვხვედრია, არ ვიცოდით, სად წავსულიყავით.

სხვა გზა არ გვქონდა და ავიაციის პრეზიდენტს ბ-ნ კაზარიანს მივადექით. გულახდილად გავუმხილეთ ჩვენი ჩასვლის მიზანი და დახმარება ვთხოვეთ – გაგვიმართლა, კაზარიანი კაცური კაცი გამოდგა, ყურადღებით მოგვისმინა და დიდი მონდომებით შეუდგა საქმეს, დარეკა ტერ-პეტროსიანის რეზიდენციაში, ვიღაცას სომხურად ელაპარაკა და გვითხრა: – გაძლევთ ორ მანქანას, მძღოლი მიგიყვანთ თქვენი პრეზიდენტის რეზიდენციაშიო. მადლობის მეტი რა გვეთქმოდა...

როგორც იქნა მივედით, მაგრამ შესასვლელში გაგვაჩერეს და გვითხრეს, დაგველოდეთო. უზარმაზარ ეზოს ლამაზი რკინის ღობე ერტყა. სამი საათის ლოდინის შემდეგ ძლივს გავიგონე ქართული ლაპარაკი. გამოველაპარაკე, მითხრეს – თბილისიდან თვითმფრინავს ველოდებითო. შევხედე ჩემს თანმხლებ ჩეჩენს, რომელმაც თვალით მანიშნა, განზე გამიყვანა და მითხრა: „ესენი ჩვენები არ არიანო.

მე გავაგრძელე დამხვდურებთან ქართულად საუბარი, გავაგებინე, რომ მე ვიყავი მფრინავი თბილისიდან. დაინტერესდნენ, სად ვაპირებდი ბ-ნი ზვიადის წაყვანას – გერმანიაში თუ ესპანეთში. **ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ესენი სიგუას აგენტები იყვნენ..**

* * *

**კიდევ** სამსაათიანი ლოდინის შემდეგ ჩვენთან მოვიდა მეზღვაურისტანსაცმლიანი პოლკოვნიკი და შეგვიყვანა შენობაში, სადაც ორივე ძირფესვიანად შეგვამოწმეს. მერე მარტო მე შენობის შიდა ეზოში გამიყვანეს, სადაც დამხვდა ბ-ნი ზვიადი, მისი ოჯახის და დაცვის ოცამდე წევრი. ბ-ნი ზვიადი მომეგება და გადამეხვია. ძალიან გამხდარი და ნატანჯი ჩანდა. გული მეტკინა. მათთან ერთად იყო ჯოხარის წარგზავნილი კაცი, სახელად აბუ.

ბ-ნმა ზვიადმა ყველას სთხოვა, მანქანებში ჩამსხდარიყვნენ და წამოვედით აეროპორტისკენ. წინ გვიძღოდა ორი მანქანა „გაი“.

პერონზე შევედით არა ცენტრალური, არა-

**კიდევ სამსაათიანი ლოდინის შემდეგ ჩვენთან მოვიდა მეზღვაურისტანსაცმლიანი პოლკოვნიკი და შეგვიყვანა შენობაში, სადაც ორივე ძირფესვიანად შეგვამოწმეს. მერე მარტო მე შენობის შიდა ეზოში გამიყვანეს, სადაც დამხვდა ბ-ნი ზვიადი, მისი ოჯახის და დაცვის ოცამდე წევრი. ბ-ნი ზვიადი მომეგება და გადამეხვია. ძალიან გამხდარი და ნატანჯი ჩანდა. გული მეტკინა. მათთან ერთად იყო ჯოხარის წარგზავნილი კაცი, სახელად აბუ.**

# ჯოჰარ დუდაევამდე

**სოხუმში დაშვებისას გადავწყვიტეთ გაგვეთამაშებინა პატარა სცენა. ერთ პიროვნებას ჩავაცვით ლაბადა, ორნი აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და ისე ჩაიყვანეს თვითმფრინავიდან. უცბად ჩასვეს იქვე მდგარ „ზაპოროჟეცში“ და სწრაფად წაიყვანეს ზუგდიდის მიმართულებით. ეს ყველაფერი გადაუღიათ სუკის აგენტებს და ყველა დარწმუნებული იყო, რომ პრეზიდენტი ჩამოვიყვანეთ სოხუმში.**

მედ სხვა უახლოესი გზით ჩვენი თვითმფრინავის სადგომისკენ, ჩამოვედით მანქანებიდან და ვხედავ: ჩვენი თვითმფრინავის მარჯვენა მხარეს დგას სამხედროებით სავსე „ან-12“. შევშფოთდი და ყველას ვთხოვე, სწრაფად ასულიყვნენ თვითმფრინავში. რა თქმა უნდა, ჩვენი კიბით, რადგან ტრაპი არ იყო. ბოლოს ბ-ნი ზვიადი უნდა ასულიყო, მაგრამ ვხედავ: ვიღაც რუსი კორესპონდენტი წინ ელობება და ინტერვიუს სთხოვს. ბ-ნ ზვიადს წავეხუმრე:

— აქ მე ვარ პრეზიდენტი, სასწრაფოდ დაიკავეთ თქვენი ადგილი.

ბ-ნმა ზვიადმა გაიცინა:

— მესმის! და თვითმფრინავში შევიდა.

ყველაზე ბოლოს მე ავედი. კორესპონდენტი თან გამომყვა თავისი ფოტოაპარატით და დამიწყო კამათი. ჩემს უკან მდგარმა ჩეჩენმა კარატისტმა დაუყვირა — არ გესმის, რა გითხრესო. რუსმა შეიგინა და მიიღო, რასაც ეძებდა: კარატისტმა ერთი მაგრად უთავაზა და თავის ფოტოაპარატიადან მიწაზე მოადენინა ზღართანი. მე კიბე ავიტანე და კარი სასწრაფოდ დავკეტე. აბუ მეუბნება:

— ხომ იცი, ყველგან გელოდებიან.

ეს ნიშნავდა, რომ ჰაერშიც მელოდნენ. მეც კარგად ვიცოდი, რომ ბევრი ხიფათი იყო მოსალოდნელი და ვუთხარი:

— თუ გეშინია, დარჩი...

ეწყინა და ხმა აღარ ამოუღია.

დისპეტჩერს ნებართვა ვთხოვე ძრავების გაშვებაზე. ამიკრძალა, სანამ 6000 მანეთს არ გადავიხდიდი. საიდან უნდა გადამეხადა ამხელა თანხა, როდესაც მთელ ეკიპაჟს 6 მანთიც კი არ მოგვეპოვებოდა. მით უმეტეს, ჩემს მგზავრებს. ისინი ხომ უფულობის გამო ერთ „ბუხანკა“ პურში ერთ ავტომატს აძლევდნენ სომხებს.

საბედნიეროდ, ჩვენი თვითმფრინავის ახლოს იდგა ბ-ნი კაზარიანი, რომელიც ხელის ქნევით მანიშნებდა, ჩქარა წადიო. დავუძახე, დისპეტჩერი ფულს მთხოვს-მეთქი. ეს მართლა კაცური კაცი აქაც დაგვეხმარა. ხელის ქნევით მადლობა გადავუხადე და ავფრინდი.

* * *

დისპეტჩერი მეუბნება — 3000 მეტრზე ახვალ და ისე გაფრინდები თბილისისკენო. გამოვრთე სიმაღლის მაჩვენებელი და 2000 მეტრით წამოვედი თბილისისკენ. სომხეთის ზონიდან რომ გამოვედი, 6000 მეტრზე ვიყავი. დისპეტჩერმა რომ გაიგო, ეჭვი შეეპარა და შენიშვნა მომცა, ასე ჩქარა რანაირადო. ლოკატორზე რომ ვერ მხედავდა, არ იცოდა არც ჩემი ადგილსამყოფელი და არც სიმაღლე. დავემშვიდობე და კავშირზე გავედი თბილისის დისპეტჩერთან. ჩემი მეორე მფრინავი ოთარი მეგრულად მეუბნება — ზაურ, მეზობლები გვაცილებენ... სამოქალაქო ავიატორები მეზობლებს ვეძახდით სამხედრო მფრინავებს.

გავიხედე, მარცხნიდან მიდგას გამანადგურებელი...

* * *

ამინდი ცუდი არ იყო. 5-6-ბალიანი ღრუბელი იქნებოდა. არ დაგღლით იმის მოყოლით, როგორ მოვიშორეთ „გამცილებლები“.

გეზი ჯერ მუხრანისკენ ავიღეთ, დისპეტჩერსაც ასე ვუთხარი, რადგან ვიცოდი, რომ ვერ გვხედავდა. წავედი ყაზბეგისკენ. ღილაკზე დაჭერით დისპეტჩერმა გაიგო ჩვენი ადგილსამყოფელი და დაიწყო ბუზღუნი, მანდ როგორ აღმოჩნდიო, ახსნა-განმარტება არ დამიწყია, გამოვემშვიდობე და რუსეთის ზონაში გადავედი. როსტოვის დისპეტჩერი გვეუბნება:

— სასწრაფოდ უნდა დაჯდეთ მინვოდში ან როსტოვში, თორემ მეზობლები იძულებულები იქნებიან... სიტყვას არ ვამთავრებინებ, მივყვები კავკასიის მთებს...

* * *

უფლის წყალობით გროზნოში მშვიდობით დავეშვით. ბ-ნმა ზვიადმა დაიჩოქა და მიწას ეამბორა. ბევრმა მიბაძა მას. აეროპორტში დაგვხვდნენ მთავრობის წევრები და წაგვიყვანეს პრეზიდენტის რეზიდენციაში. ბატონების ზვიადის და ჯოხარის პირველი შეხვედრა უაღრესად თბილი და ემოციური იყო. ბ-ნ ზვიადს ვეუბნები:

— სანამ ბნელა, გავფრინდეთ სოხუმში.

ამიხსნეს, რომ ბ-ნი ზვიადი გროზნოში რჩება.

მე ჩემი ეკიპაჟის წევრებთან ერთად გადავწყვიტე სოხუმში დაბრუნება დიდი რისკის მიუხედავად, მაგრამ იქ ხომ პრეზიდენტს ელოდებიან, რა უნდა ვქნა, რა ვუთხრა?

სოხუმში დაშვებისას გადავწყვიტეთ, გაგვეთამაშებინა პატარა სცენა. ერთ პიროვნებას ჩავაცვით ლაბადა, ორნი აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და ისე ჩაიყვანეს თვითმფრინავიდან. უცბად ჩასვეს იქვე მდგარ „ზაპოროჟეცში“ და სწრაფად წაიყვანეს ზუგდიდის მიმართულებით. ეს ყველაფერი გადაუღიათ სუკის აგენტებს და ყველა დარწმუნებული იყო, რომ პრეზიდენტი ჩამოვიყვანეთ სოხუმში.

მოვლენებს გავუსწრებ და გეტყვით, რომ ეს ფოტოები თბილისში დაკითხვისას წინ დამიდო გივი კვანტალიანმა.

* * *

გროზნოში ხშირად მიბარებდნენ ბ-ნი ზვიადი და ჯოხარი და სხვადასხვა დავალებას მაძლევდნენ. ხან მოსკოვში, სოხუმში და სხვაგან. თანდათან უფრო და უფრო ძნელდებოდა ჩემი გაფრენა. დიდ ზეწოლას განვიცდიდი რუსეთისგან. არც თბილისიდან მედგა კარგი დღე დაუმორჩილებლობის გამო სიგუას მხრიდან. ერთ დღეს ბ-ნ ზვიადისგან მივიღე დავალება — მოსკოვიდან სოხუმში უნდა წამეყვანა სოხუმის დელეგაცია, რომელიც ქ-ნ როზა ქანთარიას და ბ-ნ ზაურ კვარაცხელიას ხელმძღვანელობით მოსკოვში აწყობდნენ შევარდნაძის საწინააღმდეგო აქციებს.

იმ დროს სოხუმში პროდუქტების ნაკლებლობა იყო. გროზნოში ვიყიდე შვიდი კილოგრამი ყველი, ბლომად პური და ერთი ტომარა კარტოფილი, ჩავაწყვე თვითმფრინავის საბარგულში და გავფრინდი მოსკოვში. მაშინვე აეროვაგზალში გავიქეცი ჩემი ხალხის სანახავად. მშიერი და გაწამებული აქციონერები დიდი აჟიოტაჟით შემხვდნენ. ვანუგეშე, დავაიმედე და დისპეტჩერთან გავვარდი, რომ ხელი მომეწერა სოხუმში დაბრუნებაზე, მაგრამ კატეგორიული უარი მივიღე.

— რატომ, რისთვის, რის საფუძველზე, მე ხომ რუსეთის არცერთი კანონი არ დამირღვევია — აღშფოთებულმა ვკითხე.

— თვითმფრინავი იდგება ადგილზე და ვერ მიეკარებით, სანამ თბილისიდან არ ჩამოვლენ, — მითხრა და მიჩვენა რადიოგრამა, რომელშიც ეწერა, რომ შეეჩერებინათ ჩემი თვითმფრინავი ეკიპაჟიანად. ხელს აწერდა საქართველოს სამმართველოს უფროსი დემურ ლელაძე.

გამწარებული გამოვვარდი გარეთ და აი, საოცრება, ვხედავ მოდის დემურ ლელაძე, ერთმანეთს მივესალმეთ და ვეკითხები:

— ჩემს დასაჭერად ჩამოხვედი?

— რას ამბობ, არ მესმის. ამ წუთას ჩამოვედი გერმანიიდან, მივლინებაში ვიყავი.

ავუხსენი საქმის ვითარება, მივედით დისპეტჩერთან. დახედა რადიოგრამას და მითხრა:

— ეს ჩემი ხელწერა არ არისო.

**აღმოჩნდა, რომ სიგუას ნამოქმედარი იყო. საქართველოში რომ ვერ შეძლო ჩემი დაჭერა, მოსკოვში დააპირა განზრახვის სისრულეში მოყვანა.**

**გამოვემშვიდობე ბ-ნ დემურს, გავიქეცი ჩემს ხალხთან და ავუხსენი საქმის ვითარება. მათ მაცნობეს, რომ სიგუას მთავრობის წევრი ვაჟა ლობჟანიძე თანმხლებ პირებთან ერთად მოსკოვში იმყოფებოდა და ჩემს ყოველ ნაბიჯს აფიქსირებდა.**

რაღაც უნდა მემოქმედა. ხალხი იმედით შემომცქეროდა. ჩემი სოხუმლები დავარიგე, პერონზე გასასვლელ კართან დავაყენე, საშვი კონტროლიორს გავუწოდე. შეამოწმა და კარი გამიღო. ჩემი ხალხიც შევარდა პერონზე და ჩვენი თვითმფრინავისკენ გაიქცა. ტრაპიც მზად იყო და თვალისდახამხამებაში 56 კაცი სალონში აღმოჩნდა. მათ ფეხდაფეხ მოჰყვა „ომონი“. მგზავრები საფუძვლიანად შეამოწმეს, მაგრამ საეჭვო ვერაფერი იპოვეს. **ჩემმა მგზავრებმა კაბინის თავზე საქართველოს დიდი დროშა აღმართეს.**

**მაგრამ გაფრენა არ გვეწერა, რადგან მე დამიჭირეს, როგორც ორგანიზატორი. ჩემი ეკიპაჟიდან რუსი ფლაგმანი და ქართველი მეორე მფრინავი გაიქცნენ. ჩემთან ბოლომდე დარჩა ჩემი სულიერი ძმა, ბორტინჟინერი თამაზ ჩოფლიანი.**

* * *

თბილისიდან ჩამოფრინდა „ტუ-154“, ჩამოიყვანა 5 პოლიციელი, ერთი მაიორის ფორმით, სხვები — სამოქალაქოთი. ამ პოლიციელებმა წამიყვანეს აეროპორტის მილიციის განყოფილებაში. ხელში მეჭირა ლაბადა, რომლის ჯიბეშიც მედო „მაკაროვის“ ტყვიების პატარა კოლოფი. ის შემთხვევით ჩამივარდა ხელში. გამჩხრიკეს, მაგრამ რატომღაც ვერ ნახეს. ხელებზე ბორკილები დამადეს, ლაბადა ისე გადამკიდეს, რომ არ გამოჩენილიყო, ჩამსვეს „ჟიგულში“ და მიმიყვანეს „ტუ-154“-ის ბორტზე. დასვეს წინა სატვირთოში, მგზავრებს რომ არ დავენახე.

ჩემს შესახებ არაფერი იცოდა არც თამაზ ჩოფლიანმა და არც ჩემმა ხალხმა.

თვითმფრინავში გვერდით ფორმიანი მაიორი მომიჯდა და ავფრინდით. ძალიან მაწუხებდა და არ ვიცოდი როგორ მომეშორებინა ეს წყეული ტვირთი. მაიორმა ჩემად მითხრა, მე თქვენ გიცნობთ, მაგრამ რა ვქნა ბრძანება მაქვსო. რატომღაც სანდოდ მივიჩნიე, გადავწყვიტე ვნდობოდი და ვთხოვე გავეთავისუფლებინე ამ კოლოფისგან. სიამოვნებით აღმომიჩინა დახმარება, ეს მაინც შემიძლიაო. ყოფილი მასწავლებელი აღმოჩნდა. ერთი წლის შემდეგ მომძებნა და დამიბრუნა ეს ძლივს მოშორებული „ტვირთი“.

* * *

თბილისში პირველი მე ჩამომიყვანეს თვითმფრინავიდან. საპატიო ყარაულით დამხვდნენ გენერალი გივი კვანტალიანი და ბ-ნი ზურაბ ჭანკოტაძე. ჩემს დანახვაზე ბ-ნმა ზურაბმა გადაულაპარაკა ბ-ნ გივის და მაშინვე მომხსნეს ბორკილები. შემიყვანეს აეროპორტის რესტორანში და გააშლევინეს სუფრა, მაგრამ არაფრისთვის დამიკარებია პირი.

ღამე იყო. ბ-ნმა გივიმ წამიყვანა პოლიციის აკადემიის შენობაში. ჩემს გვერდით გაჩნდა ბ-ნი დემურ ლელაძე. მამხნევებს: ზაურ, ნუ გეშინია, შენს გვერდით ვიქნები ბოლომდეო. შიში მართლა არაფრის მქონდა, მაგრამ მისმა კაცურმა მხარდაჭერამ მეტი სტიმული მომცა და დაძაბულობაც მომეხსნა. ამიყვანეს მეორე სართულზე, სადაც დამხვდა გენერალი შარაშენიძე. გამომდო მკლავში ხელი, მიმიყვანა ღია კართან, გამაჩერა და ვიღაცას უთხრა: — ბ-ნო თენგიზ, სუბიექტი ჩამოიყვანესო. ოთახიდან გინება გავიგონე, მე რუსულად გამოვეხმაურე: —Пашол ты... შარაშენიძემ უცებ გამომაშორა კარს და დამმოძღვრა — საქმეს ნუ გაირთულებო.

* * *

**შემიყვანეს ვახტანგ რაზმაძესთან და დაიწყო ჩემი დაკითხვა: რატომ გადავიყვანე ბ-ნი ზვიადი გროზნოში, რა მიჰქონდა თან, ვინ ახლდა და რამდენი. მერე მუქარაზე გადავიდა:**

**— თქვენ მოღალატეები ხართ, ზვიადს დავიჭერთ და შენც მაგასთან ერთად ჩაგსვამთ ციხეშიო...**

**— მოღალატეები თქვენ ხართ. ვითომ გვერდით ედექით, ხმაც მიეცით, მერე პირველები გადაუდექით — ისე მშვიდად ვუპასუხე, რომ იქ მყოფებმა სიცილი ვერ შეიკავეს.**

**ათამდე კაცი მაინც ესწრებოდა ჩემს დაკითხვას.**

**რაზმაძემ ვიღაცას დაავალა, ეს ყველაფერი ჩაიწერეო.**

**წამდაუწუმ ისმოდა ტელეფონის ზარი, პასუხობდა მოკლედ და ჩუმად. ვინ რეკავდა და რაზე იყო საუბარი, არავინ იცოდა რაზმაძის გარდა.**

**მერე გავიგე:**

**თურმე ჩვენს ბიჭებს სოხუმში დაუჭერიათ მოსკოვის თვითმფრინავი „ტუ-154“. ეკიპაჟი წაუყვანიათ ერთ-ერთ ოჯახში და კარგად უქეიფებიათ. თბილისში კი რეკავდნენ: სანამ ბედიას არ გაანთავისუფლებთ, თვითმფრინავს არ გავუშვებთო. მოსკოვში დატოვებულ ჩემს თვითმფრინავზეც გაუგზავნიათ სხვა ეკიპაჟი, მაგრამ ხალხს არ მიუშვია, სანამ ბედია არ ჩამოვა, არავის მივიღებთო.**

**ამ ულტიმატუმებმა აიძულა რაზმაძე გავენთავისუფლებინე, თან მთხოვა, მოსკოვის თვითმფრინავი უსაფრთხოდ გადაუშვიო.**

**დილით ჩამოფრინდა სოხუმიდან „ელ-410“ და გავფრინდით სოხუმში.**

**მინდა, დიდი მადლიერებით აღვნიშნო, რომ ბ-ნმა დემურ ლელაძემ კაცურად შეასრულა თავისი დანაპირები. ჩემს დაკითხვასაც ესწრებოდა და არც გვერდიდან მომშორებია, ვიდრე თვითმფრინავში არ ჩავჯექი.**

* * *

სოხუმის აეროპორტში უამრავი ხალხი დამხვდა. ყვიროდნენ: ზვიადი, ზვიადი!.. ამას ველოდი...

მითხრეს, მოსკოვში დატოვებულ თვითმფრინავში მსხდომი ხალხი, სანამ შენ არ ეტყვი, სოხუმის ეკიპაჟსაც არ მიიღებსო. დავუკავშირდი ბ-ნ ზაურ კვარაცხელიას, ვუთხარი, რომ თავისუფალი ვარ და სოხუმში ვიმყოფები. ვთხოვე, ჩემი ხალხისთვისაც ეცნობებინა. ძალიან გაიხარა და სასწრაფოდ დაამატა — შენმა დატოვებულმა ყველმა და პურმა გვიხსნა შიმშილისგანო.

მეორე დღეს საღამოს სოხუმის ეკიპაჟმა ჩამოიყვანა ჩვენი გაწამებული ხალხი.

რაც შეეხება მოსკოვის თვითმფრინავის ეკიპაჟს, ისე მოეწონათ ეს „მოტაცება“, რომ წასვლა აღარ უნდოდათ...



გროზნო, 1991 წ. იგორ ჩხეიძე, ლია ანდღულაძე, იგორ ნარმანია, გიორგი ფერაძე, ზაურ ბედია, ზვიად გამსახურდია, ჯოხარ დუდაევი.

№155-156. პარასკევი, 8 აგვისტო, 2014 წელი.

# ჯვარი – სავანე ქართველთა



...დიდმა დავით აღმაშენებელმა აღადგინა და მოახატვინა ჯვრის მონასტერი.

„აირზენას“ სააგენტოს კართან შემხვდა გიორგი, ჩემი ძველი ნაცნობი, რომელსაც „ფუმფულას“ ვეძახდით ჯეელობაში.

– ო,ო!... გაუმარჯოს!... რამდენი ხანია, არ მინახიხარ... რაც „დიდი კაცი“ გახდი, მას შემდეგ გაძვირდა შენი ნახვა!... – მივესიყვარულე ძველ მეგობარს.

– ო,ო!... ბატონ ზაურს გაუმარჯოს!... როგორ გიკითხოთ?... გუშინ მოგკარით თვალი, ამ კარებიდან რომ გამოხვედით, მაგრამ გეტყობოდათ, ძალიან გეჩქარებოდათ!... გავიგე, წმინდა მიწაზე აპირებსო წასვლას!... როდის მიდიხართ?...

– ხო!... გუშინ ბილეთები ავიღე!... 29-ში ვაპირებ წასვლას!...

– კარგია, კარგია ... ღმერთმა მშვიდობით მოგატაროს!... რამდენიმე წლის წინათ მეც მქონდა ბედნიერება მეხილა ჯვრის მონასტერი!...

– ჰოო? ... ეს მაშინ იყო, ალბათ, როცა ქართველებისთვის ჯვრის მონასტრის გადმოცემის საკითხი დააყენეს ჩვენებმა ისრაელის მთავრობისა და ბერძენი სასულიერო მამების წინაშე!....

– ჰო, კი, მარა!...

– რა ვიცი, პრესა „ქადაგებდა“, ასე და ასე, მალე იერუსალიმის ჯვრის სავანე საქართველოს გადმოეცემაო!...

– არ ვიცი!... ის კი, ვიცი, რომ ბატონმა ბადრი პატარკაციშვილმა გალავნიდან ასიოდე მეტრში შოთა რუსთაველის ბარელიეფი დაადგმევინა და მონასტრისკენ მიმავალ პატარა ქუჩას რუსთაველის სახელი მიანიჭეს!... მერე, ის იყო, რომ... რამდენადაც ვიცი, პატარკაციშვილმა დიდძალი თანხა გადაიხადა, რომ ამიერიდან ქართველებს უფასოდ შეძლებოდათ შესვლა ჯვრის მონასტერში!... – „საქმის კურსში ჩამაყენა“ „ფუმფულამ“ და გამომემშვიდობა. იქვე მდგარ „ჯიპში“ ჩაჯდა და მძღოლმა მანქანა მოწყვეტით დაძრა.

...ეს იყო ამ ერთი კვირის წინ!... ახლა კი, მე და ჩემი ოჯახი ვარდებით მოქარგულ გამზირს მივუყვებით და სამიოდე კილომეტრში ჯვარი აღმართულა, წმინდა სავანე!

– ...ის „პატარა ქუჩაც“ გალავნის მთავარ კარიბჭესთან მთავრდება. ოდნავ მოშორებით დგას სტელა, რომელსაც რუსთაველის ფრესკის ასლიღა შემორჩენია დღეს. ამბობენ, წარწერებიც ჰქონდაო, მაგრამ ვიღაც მსახვრალის ხელს იავარუქნია იგი. მერე თეთრი საღებავით გადაუღებავთ!... ძეგლის წინაერდოზე კი, კვლავ ხრიოკი „იწონებს“ თავს. მიმოდიან ტურისტები და ვერავინ ხვდება, რომ აქ დიდი რუსთაველის ორანი სუფევს!

გული მწყდება!

– ვინ-მეთქი? – მაწვალებს ეს კითხვა და იქვე ვპასუხობ: – ალბათ, იმან, ვინაც ამ რამდენიმე წლის წინათ ჯვრის ტაძარში გააჟერანა ქართული სალოცავი!... დიახ , მათი „ნავაჟკაცარია“ ესეც, მაგრამ უფლის ნებამ მოსთხოვოს პასუხი იმ „ვაჟბატონებს“. ჩვენ ქართველები კი, თავს ვიკავებთ „ძვირთა თქმისაგან“, რადგან ძმობა, მეგობრობა და სიყვარული გვიქადაგა თვით რუსთაველმა და მის სახელს ვერ ვაქცევთ უგუნურთა სიძულვილად!

მაშინ კი, როცა ხმა დაირხა, საქართველოს „უმაღლესი ჩინოსანნი“ უნდა ჩამობრძანდნენო წმინდა მიწაზე! შეწუხდნენ „მასპინძლები“ – ჯვრის მონასტრის დარბაზში რუსთაველის ფრესკას ვედრების ტექსტი და სახე ჰქონდა დაზიანებული!

...ღვთისნიერმა კაცებმა ყველაფერი იღონეს ასეთი ბარბაროსული კვალი „დროებით“ მაინც „წაეშალათ“ და ფრესკას პოლიეთილენზე „დახატული რუსთაველი“ გადააკრეს!...

მოგვიანებით ერთმა დალოცვილმა ებრაელმა რესტავრატორმა ხაიმ კაპშიცამ აღადგინა რუსთაველის სახე ჯვრის მონასტერში!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 154

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წმინდა მდინარე იორდანეში განბანვის შემდეგ დალოცა ხაიმ კაპშიცა! მაგრამ იქამდეც მძიმედ ავადმყოფი ხელოვანი, მალე გარდაიცვალა!... გარდაცვალების წინა დღეს მან გულდაწყვეტილ ცრემლებს შემდეგი სიტყვები გადმოაყოლა:

– „... თბილისში დავიბადე ქართველ ებრაელად და დედა პატარაობიდან დიდი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ მიკითხავდა!... რუსთაველმა მასწავლა მე კაცთმოყვარეობა, ძმობა და მეგობრობა... ბედნიერი ვარ, რომ რუსთაველის სახე მიმაცილებს იმ ქვეყნად!... ოღონდ, გული მწყდება, რომ მის სახებას შეურაცხყოფა მიაყენეს!....“

ცრემლებს ვერ იკავებ ამ სიტყვებს, რომ ისმენ! თქვენი არ ვიცი, მაგრამ მეც ვერ შევიკავე ემოციები ამ უკეთილშობილესი კაცის სინანულის წინაშე. უფალმა გაანათლოს მისი ქართული მზითა და მიწით ნაკურთხი სული! ოღონდ, რა „შეურაცხყოფაზე“ იყო საუბარი, ბევრმა არ იცოდა. ეს სულ რამდენიმე პიროვნების „საიდუმლოება“ გახლდათ!

...პოლიეთილენზე „დახატულ“ იმ უგვანობაზე წუხდა სულნათელი კაცი!...

...ისტორიანი კი, ღაღადებდნენ ამ კიდე-განის ბიოგრაფიას:

...უძველესი იერუშალაიმი ს სამხრეთ-აღმისავლეთ გორმახზე უსიერი ტყე გამეფებულიყო. უწმინდურთა საუფლო აკვნად მიაჩნდათ იგი ურწმუნოთ. ამიტომ, სწორედ, ამ ტყეში მოჭრილი ხისაგან გაკეთდა ჯვარი, რომელზეც ეწამა მაცხოვარი ჩვენი. ცათა საუფლოში მაშინ გამოისახა გზა გოლგოთისა დ ა „ვია-დოლოროსას“ აუყვა იესოს ამქვეყნიური „უკანასკნელი სავალი მისი“.



„ამის დამხატავსა შოთას შეუნდვეს ღმერთმან, ამინ! რუსთაველი“.

იმ საუკუნიდან მიეპყრო ქართველთა მზერა იერუშალაიმსა და პალესტინას!

როგორც ლეგენდა ამბობს, ახალგაქრისტიანებული ქვეყნის მეფე, მირიანს წმინდა ქალაქის ეს ადგილი უძღვნა კონსტანტინე იმპერატორმა და საქართველოს აქ, წმინდა სალოცავი აუგია.

საუკუნეების შემდეგ თეიმურაზ ბაგრატიონი კი, დაწერს: რადგან პირველად კერპთაყვანისმცემლობიდან ქრისტიანულ სარწმუნოებაზედ მირიან მეფე მოიქცა, დიდმა კონსტანტინემ პირველი მსოფლიო კრების განჩინებით მრავალი შეწევნა გაიღო საქართველოში მართლმორწმუნეობის განსამტკიცებლად და იერუშალაიმში ადგილები მისცა!“

მირიან მეფის აშენებული ეკლესია ვახტანგ გორგასალს გაუფართოებია.

მაგრამ როგორც მეისტორიენი გვასწავლიან, – შემდგომში, ჯვრისთვის განსაკუთრებული ღვაწლი გაუწევია ქართველ ბერ-მონაზონს, გრიგოლ-პროხორე შავთელს. მან ექვთიმე მთაწმინდელის კურთხევით, გაერთიანებული საქართველოს მეფის ბაგრატ მეექვსის და მისი დედის მარიამის მხარდაჭერითა და ანტიოქიაში სინას მთის ქართული მონასტრების შემოწირულობებით, მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში აღადგინა საუკუნეთა ქარიშხლებისაგან იავარქმნილი ჯვრის ტაძარი და განაჩინა წესი და კანონი, – „მსგავსად საბაწმინდისა ლავრისა!“. და კიდევ უფრო განმრავლდა ჯვრის მონასტერსა შინა, სასულიერო და სალიტერატურო ცხოვრება!

...ამგვარად იქცა ჯვრის მონასტერი საზღვარგარეთ არსებული მონასტრების დედამონასტრად!

ამ პერიოდისათვის პალესტინაში უკვე არსებობდა ოცამდე ქართული სავანე!

...მაგრამ კვლავ ჰქროდა ისტორიის ქარიშხალი!

მეთერთმეტე საუკუნის მეშვიდე ათწლეულის დასაწყისში თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს იერუშალაიმი და ჯვარიც გადაწვეს. ქართული სულიერება კი, არ დრკებოდა, ებრძოდა ჭირს და ... იმარჯვებდა!

...დიდმა დავით აღმაშენებელმა აღადგინა და მოახატვინა ჯვრის მონასტერი. და კვლავ იზეიმა ქართულმა სულმა. მერე ის იყო, მოვიდა ჟამი სალადინისა! ეგვიპტის სულთანმა იერუშალაიმიც დაიპყრო და მთელი პალესტინაც. ქართველთა სახელ-დიდებამ, მეფე თამარმა იმდენი გამჭრიახობა გამოიჩინა, რომ დამპყრობელთან და მის შვილებთანაც კი, კეთილი ურთიერთობა დაამყარა. „ფეშქაშად“ ორასი ათასი ოქრო გაატანა სალადინთან ქართველთა ელჩობას. მათ შორის მიბრძანდებოდა იერუშალაიმს დიდი შოთა რუსთაველი, უპირველესი პოეტი, მხატვარი და მოაზროვნე საქართველოისა! თან მოჰქონდა თხოვნა თამარისა, – მის ღვთიურ ფუნჯს მოეხატა ჯვრის მონასტერი!

...და ათეული წლები ილვწოდა იგი ამ სავანეში! და მან განა მარტო მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის სვეტი მოქარგა, არამედ მთელს ტაძარს დაატყო ქართული ფერების ჯადო!... აქვე იცხოვრა და აღესრულა დიდი გენია! აქვე მიიბარა წმინდა მიწამ იგი და, ვინ იცის, შემდგომ მავალ რამდენ ქართველს დაუდგამს ფეხი მისი უჩინარი საფლავის ქვაზე!

მაპატიონ მეცნიერ-მკვლევარებმა, მაგრამ მე ისიც მგონია, რომ „ვეფხვისა და ტყავის“ ამბავიც აქ დაამთავრა მისმა გენიალურმა ნიჭმა! ...არ ვიცი !... მაპატიეთ თუ ვცდები, მაგრამ ღირს ამაზე ფიქრიც და კვლევაც!

...მეცამეტე საუკუნის ბოლოს მონასტერი ჩამოერთვათ ქართველებს და მეჩეთად აქციეს!

...1305 წელს მეფე დავით მერვეს მცდელობამ კვლავ დაუბრუნა ქართველებს ჯვარი.

მეჩვიდმეტე საუკუნეში დიდი ღვაწლი გაუწევია ჯვრის მონასტრის დიდებისათვის სამეგრელოს მთავარს ლევან მეორე დადიანს.

...და გარბოდნენ საუკუნეები ვითარცა ნაბდით დაჭედილი ბედაურები და არ ყოფილა ქართველ მეფეთა შორის არც ერთი, რომელთაც მცირე თუ დიდი ამაგი არ დაედოს ჯვრის სალოცავთან, სანამ ქართველთა გავლენა საბოლოოდ არ მიინავლა...

მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს მონასტერი, სხვა ქართულ სავანეებთან ერთად , ბერძენთა ხელში გადავიდა და იერუსალიმის საპატრიარქოს დაექვემდებარა!

... ამ დღიდან დაიწყო „ფრესკების შეთეთრება“!

...1948-58 წლებში კი აქ ისრაელის ჯარი იდგა!...

სამწუხაროდ, ბერძენი სამღვდელოება ჩქმალავდა ჯვრის მონასტრის ქართულ კულტურასთან კავშირს და ქართველთა ღვაწლს.

...მაგრამ „აღაპები“ ღაღადებენ სინამდვილეს!

აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები და კალიგრაფები. ჯვრის მონასტერში შეიქმნა და განმრავლდა ხელთნაწერები, რომლებიც დღესაც ინახება მსოფლიოს უდიდეს ქალაქთა წიგნთსაცავებში და თვით, იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

...და ჰოი, დიდება უფალს !... სწორედ აქ „შევხვდი“ ჩემს წინაპარს, რომლის შესახებ ჩემს ერთ-ერთ ნარკვევშიც მაქვს ციტატა ჩადებული: – „იერუსალიმის მონასტრის აღაპებს შემოუნახავთ ფახულანელი დეკანოზის მიქაელ ფახულანელის სახელი, რომელიც მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეთა მიჯნაზე სწვევია წმინდა მიწას და შესაწირავი შეუწირავს ფახულანელი აფაქიძეების, შარაშიების, გერგედავების, ფიფიების, მთლიანი საქართველოს და სამეგრელოს საოხად...“.

...შევდივართ კარიბჭეში და კვლავ სულგაკმენდილი ვუსმენთ მემატიანეს!...

ტაძრის აკანში არ არის ტურისტთა სიმრავლე. ეზოში გამოფენილი სუვენირების მაღაზიებში თვლემენ ბერძენი თუ არაბი ვაჭრები. ზღურბლთან დგას კარისკაცი. ვუახლოვდებით მას და ვესალმებით.

– ჰელოუ, მისტერ!... აი ემ ჯორჯიან!...

კარისკაცს თვალები გაუბრწყინდა და მოწიწებით გვესალმება.

– შესასვლელი ბილეთი სად შეიძლება ავიღოთ, მეგობარო ? – ჩვენი ინგლისურ-ქართული ბგერებით გავაგებინეთ სათქმელი.

– თქვენ ქართველები ბრძანდებით, როგორც მივხვდი?... – გვიპასუხა რუსულად.

– დიახ!...

– ქართველებისთვის უფასოა ჩვენს ტაძარში შესვლა!... მობრძანდით!... – და კარები ფართოდ გაგვიღო.



ბადრი პატარკაციშვილმა გალავნიდან ასიოდე მეტრში შოთა რუსთაველის ბარელიეფი დაადგმევინა

– სანამ თქვენ ლ ო ც უ ლ ო ბ თ , სხვები არ შეგაწუხებენ, ქართველებო!...

სული გაუკმენდია გუმბათქვეშეთს და ჩვენი სუნთქვაღა არღვევს სიმყუდროვეს. ვხედავ როგორ გადმოგვყურებს დედასვეტიდან დიდი საქართველო და ისმის „ხმა კატამონთან“!

შოთას ფრესკას ვახებ მარჯვენას და სიამაყის გრძნობით ვივსები.

მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის ფეხებთან მუხლმოყრით მდგარი რუსთაველი თავმდაბლად შესთხოვს უფალს: – „ამის დამხატავსა შოთას შეუნდვეს ღმერთმან, ამინ! რუსთაველი“.

...დიდი რუსთველის ფრესკის „ბრელოკს“ ჰყიდის ვიღაც არაბი თუ ბერძენი ვაჭარი ტაძრის ეზოში!...

ზაურ ფიფია.

წმინდა მიწა. 2014 წლის 3 ივლისი.

ფოტოები ია ფიფიასი.

(დასასრული იქნება)

## ფრთხილად, უსაფუძვლო ბრალდებაა!



# მართლაც რა ბინძური ყოფილა ეს პოლიტიკა!

**გეგმავს თუ არა ბიძინა ივანიშვილი რევოლუციას აზერბაიჯანში? — ასეთი კითხვა წესით არც გაჩნდებოდა, რომ არა მიხეილ სააკაშვილის ბოლო ინტერვიუ „რუსთავი-2“-ზე. ბარლდებულმა ექსპრეზიდენტმა გვარიანად იჭორავა და საზოგადოებას ირიბად ჩააწვეთა აზრი იმის შესახებ, რომ მილიარდერი ივანიშვილი, თურმე, არეულობას ახლა მეზობელ ქვეყანაში გეგმავს(!) რაღა თქმა უნდა, პუტინის დავალებით, ოღონდ არ დაუკონკრეტებია, რამდენი მილიარდის სანაცვლოდ. ეტყობა, სრულ ინფორმაციას არ ფლობს...**

ისე, კაცმა რომ თქვას, უცხოეთში გადახვეწილი პოლიტიკოსების აღმოჩენა კი არა, ქართველი ჟურნალისტები აქ მყოფი „ცნობადი“ სახეების გამოჭერას ძლივს ვახერხებთ, რასაც ვერ ვიტყვით „რუსთავი-2“-ის რეპორტიორებზე. შინ და გარეთ მათი რესპონდენტებთან ხელმისაწვდომობის არეალი თითქმის უსაზღვროა. „რუსთავი-2“-ის „საოცარი“ ექსკლუზივების წყალობით მოვისმინეთ მონოლოგი სააკაშვილისა, კოდუასი, „კოჭოიასი“ და სხვათა... სავარაუდოდ, ამათ მოჰყვება კეზერაშვილის ან ადეიშვილის აღსარებანი. სასამართლოს გაურბიან, მაგრამ საზოგადოებას კარგად ახვევენ თავს მათეულ სიმართლეს — უტიფრად „გვაბოლებენ“!

როცა მიხეილ სააკაშვილი შეეხო ამჟამინდელი ხელისუფლების საგარეო კურსს, „მძიმეწონიანი“ არგუმენტების მოშველიებით მკაცრად გააკრიტიკა და ამასთანავე „მინიშნებაც“ გააკეთა: ინფორმაცია მაქვს, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების წინააღმდეგ ალიევის ოპოზიცია მოძრაობებს გეგმავს და ამ მისიით ბიძინა ივანიშვილთან ფარული შეხვედრა გამართა ერთ-ერთმა აზერბაიჯანელმა ოპოზიციონერმაო. ასე უწყინარად გახმიანებულმა ინფორმაციამ კარგად მოგეხსენებთ, რომ ადვილი მოსალოდნელია დისონანსი შეიტანოს საქართველო-აზერბაიჯანის გამორჩეულ კეთილმეზობლურ ურთიერთობაში. შეიძლება დიპლომატიურ დონეზე ასეთი გაუგებრობა მარტივად მოგვარდეს, ხოლო ადამიანურ ურთიერთობებზე — არც თუ სასურველი ასახვა ჰპოვოს.

**სააკაშვილის განცხადებიდან სულ რამდენიმე დღეში კი მოხდა ისე, რომ აზერბაიჯანის მოქალაქე, ოპოზიციონერი, პოლიტიკური პარტიის „მუსავატის“- წევრი დაშგინ აღარარლი დააკავეს. მას აზერბაიჯანის პროკურატურამ ბრალი წარუდგინა გადასახადების გადახდისგან თავის არიდების გამო. ბრალდებული საქართველოში გამოიქცა, მაგრამ სამართალდამცავებმა დააპატიმრეს.**

დაშგინ აღარარლის სამართლებრივ ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს, რათა მისი მოსალოდნელი ექსტრადაცია არ მოხდეს, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ბრალდებულს პოლიტიკური ნიშნით დევნიდნენ. რამდენიმე უფლებადამცველი ორგანიზაციის ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია: **„დაშგინ აღარარლი, რომელიც არის ოპოზიციური პარტია „მუსავატის“ წევრი, ხშირად მონაწილეობდა აზერბაიჯანში გამართულ მიტინგებსა და მანიფესტაციებში, მედიის საშუალებით აკრიტიკებდა აზერბაიჯანის ხელისუფლებას და გამოხატავდა პროტესტს ადამიანის უფლებათა დარღვევების თაობაზე. ამ აქტიურობისთვის იგი იდევნებოდა აზერბაიჯანის მმართველი პოლიტიკური რეჟიმის მიერ, რის გამოც მას მოუხდა აზერბაიჯანის დატოვება.**

**საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მის მიმართ აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ წარდგენილი ბრალი გადასახადების გადახდისგან თავის არიდების თაობაზე, არის პოლიტიკურად მოტივირებული და არ ემყარება მტკიცებულებებს“.**

არასამთავრობოები „ივანიშვილის ხელისუფლებას“ მუხლმოდრეკილი ევედრებიან, რომ აზერბაიჯანელ ოპოზიციონერს პოლიტიკური თავშესაფარი საქართველოში მისცენ. ასევე მიანიჭონ ლტოლვილის სტატუსი. იგი არ უნდა გადაეცეს აზერბაიჯანის სახელმწიფოს! — მიიჩნევენ უფლებადამცველები.

და თუკი მიხეილ სააკაშვილს დავუჯერებთ, მაშინ პირიქით უნდა ხდებოდეს, — ივანიშვილს და მის პროკურატურას ხელს უნდა აძლევდეს ოპოზიციონერისთვის თავშესაფრის მინიჭება. დავიჯეროთ, უფლებადამცველი ორგანიზაციები ივანიშვილს შეეკრნენ?! თუმცა, ხელისუფლება ამას არ აპირებს და აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან თანამშრომლობას გეგმავს.

თუნდაც, ამ პრეცედენტმა უნდა გააქარწყლოს ეჭვი ივანიშვილ-აზერბაიჯანელ ოპოზიციონერ ლიდერთა თანამშრომლობის შესახებ. ეს ფაქტიც კარგად ადასტურებს სააკაშვილის „მტკიცებულებათა“ აბსურდულობას, მის ავადმყოფურ ბოდვებს, რომ თურმე ბიძინა ივანიშვილი აზერბაიჯანში გადატრიალებას გეგმავს.

მეორეც, ქვეყნისთვის კეთილმოსურნე ექსპრეზიდენტი, თუნდაც ბრალდებული, ასეთ განცხადებას საჯაროდ არ უნდა აკეთებდეს, ის რომ ორი მეგობარი ხალხის ბედზე ფიქრობდეს. მაგრამ, რადგანაც ხალხი ცდილობს სააკაშვილის გასამართლებას, ისიც დაბოღმილია და მონანიების ნაცვლად გაღმა გვედავება.

**მართლაც, როგორ გააბინძურა თანამედროვე პოლიტიკა არამზადა სააკაშვილმა...**

**ნია ფიფია**

## დედაქალაქი

# გადავიტანოთ თუ არა ველოსიპედი?

**თბილისის მერია რიყის განვითარების პროექტის გადახედვას გეგმავს. დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ ისაუბრა რიყეზე აშენებულ ე.წ. მილებზე ანუ მუსიკალურ ცენტრზე, შუშის ხიდზე და ვარდების მოედანზე დამონტაჟებულ ველოსიპედზე, რომელიც, თბილისის მერის აზრით, გარეუბანში უნდა გადაიტანონ:**

**„ასეთი უსახური და გაურკვეველი წარმომავლობის ძეგლი, რომელსაც შეიძლება ძეგლი ვერ დავარქვა, სხვაგან დავდგათ. შესაძლებელია, ის დაიდგას სადმე გარეუბანში. მე პირადად, ცხრაწლიანი მმართველობის სიმბოლოს გადავიტანდი, რომ დამთვალიერებელს ჰქონდეს საშუალება ნახოს, როგორი მიდგომები იყო ძეგლებთან და, ზოგადად, არქიტექტურასთან დაკავშირებით და მას პატარა ისტორიასაც წავაწერდი“.**

„თბილისის ჰამქრის“ წარმომადგენელის ცირა ელისაშვილის თქმით, თბილისში იმდენი პრობლემაა, რომ სწორი არ იქნებოდა მერს თავისი მოღვაწეობა ძეგლების გადატანით დაეწყო:

**„მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს ობიექტები უკვე შემდგარი ფაქტია. ასევე შემდგარი ფაქტია ძველი თბილისის პრობლემები. მე შემიძლია მისამართებიც გითხრათ შენობების, რომლებიც ან დღეს დაინგრევა, ან ხვალ. ის თანხა, რაც ოდიოზური მუსიკალური ცენტრისა და შუშის ხიდის გადატანას დასჭირდება, ძალიან წაადგებოდა შენობებს (დიუმას ქ. № 13, ასათიანის ქ. № 18, ყავლაშვილის ქ. № 9). მინდა იმედი დავიტოვო, რომ ეს მხოლოდ ვარაუდია და არა გადაწყვეტილება, რადგან ამ ნაბიჯით საქმიანობის დაწყება სწორი არ იქნება“.**

რადიო თავისუფლებამ აზრის გამოთქმა თბილისის მცხოვრებთაც სთხოვა. მათი მხრიდან ახლადარჩეული მერის განცხადებას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა:

**„და, საერთოდ, ის ველოსიპედი რა საჭირო იყო ქალაქის ცენტრში, გამაგებინეთ ერთი“.**

**„არ ვემხრობი ძეგლების გადატანას. მისაღებია, რაც არის“.**

**„ნამდვილად გადასატანია ველოსიპედი. რიყეზეც ის რაღაც უცნაური რომ არის და არაფერში არგია ქართველ ხალხს, გადასატანია“.**

**„მე მომწონს. გადატანა ზედმეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული. იყოს, სადაც არის“.**

**„მაგით ბევრი არაფერი იცვლება, მაგრამ, საერთოდ, სირცხვილია, რომ ასეთი „შედევრი“ დგას ცენტრში. იმდენი პრობლემაა ქვეყანაში, რომ ეგ უკვე მეათეხარისხოვანია. პირველ პრობლემად მიმაჩნია ეკოლოგია. უმძიმესი, საშინელი მდგომარეობაა. ხეები იჭრება ვაკის პარკში, ასათიანზე და პარკები ვიღაცის ბიზნესინტერესებს ეწირება. ამას უნდა მიექცეს ყურადღება და პარალელურად იმ ჯართსაც თუ აიღებენ, ამაში ცუდი არაფერი არ არის“.**

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენელი ერეკლე ურუშაძე მიიჩნევს, რომ ძეგლების გადატანა თბილისისთვის საერთოდ არ არის აქტუალური. გაცილებით უფრო პრიორიტეტულია ისეთი საკითხების მოგვარება, როგორიცაა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგება, ქალაქის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეებისთვის, მწვანე ზოლების შენარჩუნება და ასე შემდეგ.**

**„უამრავი პრობლემის ჩამოთვლა შეიძლება და ამ ფონზე მეეჭვება, რომ ძეგლის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა ამდენ ყურადღებას იმსახურებდეს და ღირდეს ამაზე ჩვენი ქალაქის რესურსების დახარჯვა“.**

ერეკლე ურუშაძე ამბობს, **რომ თუკი ქალაქის მერიას წინა მთავრობის შეცდომების გამოსწორება სურს, ეს მისასალმებელია, თუმცა, მისივე თქმით, არსებობს წინა მთავრობისგან დატოვებული სხვა შეცდომებიც, რომელთა მოგვარება გაცილებით უფრო პრიორიტეტული იქნებოდა.**



**თეა თოფურია**

## დედამიწის ზურგზე



**ევროკავშირმა რუსეთის ფედერაციის მხრიდან სანქციებზე პასუხის შემდეგ პაუზა აიღო და ცდილობს, გააკეთოს ზარალის პროგნოზირება**

რუსეთის მიერ შემოღებული ზომების ნეგატიური შედეგებისა ეშინიათ ნიდერლანდში, ფინეთში, საბერძნეთში. იაპონია „წუხს“. სამხრეთი აფრიკის ქვეყნები, რომლებსაც მოუწოდებენ, შეცვალონ ევროპელი მიმწოდებლები უკვე ჩაერთვნენ მოსკოვთან მოლაპარაკებაში. ამ დროს დასავლეთში მიაჩნიათ, რომ რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება პრობლემად გადაექცევა თავად რუსეთს.

**აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა დაარწმუნა პიოტრ პოროშენკო, რომ ამერიკა ნებისმიერ სიტუაციაში უკრაინის ხალხთან ერთად იქნება**



უკრაინის ლიდერმა მადლობა გადაუხადა შეერთებულ შტატებს უკრაინის თანმიმდევრული მხარდაჭერისათვის. სატელეფონო საუბარი პოროშენკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს შორის გაიმართა წინა ღამით. მოსაუბრეებმა განიხილეს ურთიერთმოქმედების საკითხების ფართო სპექტრი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში.

**ობამა: რუსეთი გააგრძელებს შეჯახებას სანქციებთან, თუ კურსს არ შეცვლის უკრაინასთან დაკავშირებით**

ვაშინგტონი ამ ეტაპზე არ განიხილავს უკრაინისთვის იარაღისა და სამხედრო ტექნიკის მიწოდების შესაძლებლობას. „თუ დავინახავთ, შეჭრას რუსეთის მხრიდან — ეს უკვე სხვა საკითხი იქნება“, — აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა. „ყველაზე კარგი, რაც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ უკრაინისთვის, — ესაა შევეცადოთ, პრობლემის გადაჭრა დავაბრუნოთ დიპლომატიურ გზაზეც“, — ხაზგასმით აღნიშნა ობამამ.

**ლიბერიაში შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა და ებოლის ციებცხელების გამო გამოცხადებულია ეროვნული მარხვა**

დასავლეთაფრიკელმა რელიგიურმა ლიდერებმა მიიჩნიეს, რომ ებოლას ეპიდემია — ესაა დასჯა ქვეყანაში კორუფციისა და ჰომოსექსუალიზმის გავრცელებისათვის. ქვეყნის პრეზიდენტმა შემოიღო საგანგებო შემთხვევა და შესთავაზა თანამოქალაქეებს სამი დღის განმავლობაში ილოცონ გაძლიერებით და პარტიების თხოვნით. ამერიკელ მისიონერებს, რომლებიც დაავადდნენ ებოლით, დაეხმარა ექსპერიმენტული მკურნალობა. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას ეჭვი ეპარება იმ სახსრების მასობრივი გამოყენების ეთიკურობაზე, რომლებსაც არ გაუვლიათ შემოწმება.



# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №1** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) უნდა აღიკვეთოს ჭაბურღილიდან წყლის უმიზნოდ დაღვრა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კურტლარის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3 650 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კურტლარის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 118 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 224 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 8 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №2** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. კასპი, გიორგი სააკაძის ქ. №7-ში, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 730 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. კასპი, გიორგი სააკაძის ქ. №7 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 24 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 205 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 8 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №3** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის |

| | | |
|---|---|---|
| | | მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №89-ში, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 68,04 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №89 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 0,20 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 200,30 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 8 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში. |
| | **ობიექტი №4** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №7-ში, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 177,66 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №7 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 0,40 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 201 ლარი |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ |

| | | |
|---|---|---|
| | | ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ათვისებული მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. უბისის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1 825 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. უბისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 57 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5.7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 211 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 8 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №18**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით საჭიროა ჭაბურღილის შემოღობვა;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ათვისებული მოცულობის მითითებით). |

| | | |
|---|---|---|
| | | ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თელავის მუნიციპალიტეტის, სოფ. ვარდისუბნის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - C, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 730 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თელავის მუნიციპალიტეტის, სოფ. ვარდისუბნის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 14 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 203 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 8 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №19**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს სალიცენზიო ტერიტორიის (ჭაბურღილი) დაცვა წყალმოვარდნისაგან.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩუმათელეთის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 730 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩუმათელეთის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 24 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 205 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 8 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №20**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი უნდა უზრუნველყოს სანიტარული ნორმების დაცვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ქუთაისი, ჯავჯავაძის ქ. №21ა, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3 650 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისი, ჯავჯავაძის ქ. №21ა |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 118 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 224 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 8 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

ჭიდაობა

# ზაგრებში შმაგი გაშმაგდა

**1 „ოქრო“ და 3 „ბრინჯაო“ — ასეთი შედეგით დაასრულა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი ზაზა სილაგაძე) ახალგაზრდების მსოფლიო პირველობა, რომელსაც ზაგრებმა უმასპინძლა. წლეულს ევროპის პირველობაზე გელა ბოლქვაძემ (74 კგ) ჩემპიონობა მოიპოვა, მსოფლიოზე მესამე იყო, ხოლო მისი მოგვარე — შმაგი ბოლქვაძე (66), პირიქით, ევროპული ბრინჯაოდან მსოფლიო ოქრომდე აღზევდა.**



მომავალმა ჩემპიონმა ტურნირი მონღოლ ნოროვსურენ ამარსაიხანთან გამარჯვებით დაიწყო (13:0), მერე ჩინელი ვუიუნგე ვუიუნგე (6:0) და თურქი ჩინგიზ არსლანიც (1:0) ჩამოიშორა გზიდან, ნახევარფინალში უნგრელ ზოლტან ლევაისაც (მადიარი ჩვენებურმა წლეულს ევროპის პირველობაზეც დაამარცხა) მინიმალური ანგარიშით მოუგო, ხოლო ფინალში აზერბაიჯანელ რუჰინ მიხაილოვს 3:0 აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა.

გიზო მელაძემ (55) წლეულს ევროპირველობაზე „ბრინჯაო“ დაიმსახურა. ზაგრებში სტარტზე მან, როგორც ევროპაზე, უნგრელი ბენცე კოვაჩი დაჯაბნა — 9:0. მეოთხედფინალში ქართველი მოჭიდავე ყირგიზ რუსტამ ტეიშოვთან 1:6 დამარცხდა. სამაგიეროდ, დამამშვიდებელში რუმინელ ადრიან დუმიტრუსაც და მოლდოველ იონ ლეფტერსაც 7:0 სძლია და მესამე ადგილი დაიკავა.

ლაშა გობაძეც (84) წლეულს ევროპაზე „ბრინჯაოთი“ დაკმაყოფილდა. შედეგი მსოფლიოზეც ვერ გააუმჯობესა: პირველ წრეში ამერიკელი რიჩარდ კარლსონი (10:0) დაამარცხა, მერე ალჟირელი ადემ ბუდჯემლინი (4:1) და უკრაინელი ანდრეი გლადკიხი (5:1) დაჯაბნა, მაგრამ ნახევარფინალი, კონტინენტის პირველობის მსგავსად, გერმანელ დენის კუდლასთან დათმო (0:6). სანუგეშოს ფინალში მან ეგვიპტელ მოჰამედ მეტუალის 6:0 აჯობა. რაც შეეხება მესამე ბრინჯაოს, როგორც გაუწყეთ, ასპარეზობის პირველ დღეს ის გელა ბოლქვაძემ (74) მოიპოვა.

**დამდეგ შაბათ-კვირას ზაგრების ხალიჩა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს დაეთმობა.**

**ლაშა დიდია**

ჭადრაკი

# ვაჟები ქალებზე უკეთ ასპარეზობენ

**ნორვეგიულ ტრომსოში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მე-5 ტურში კვლავ გაგვახარეს ჩვენმა ვაჟებმა. ისინი ბელგიას დაუპირისპირდნენ. პირველ დაფაზე ჩინებულად ითამაშა ბაადურ ჯობავამ.** ქართველმა დიდოსტატმა თეთრებით ლუკ ვინანტსს 27-ე სვლაზე გააჩერებინა საათი. წარმატებას მიაღწია მე-4 დაფაზე გაიოზ ნიგალიძემ — შავი ფიგურებით შტეფან დოქსი 48-ე სვლაზე დაამარცხა. მეორე-მესამე დაფებზე მიხეილ მჭედლიშვილი და ლევან ფანცულაია, შესაბამისად, მიშელ ბარტსა და თანგუი რეინგორს დაუზავდნენ. საქართველოს ნაკრებმა 3:1 გაიმარჯვა და ლიდერთა ჯგუფში შეინარჩუნა ადგილი.




**მეწინავეთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:** აზერბაიჯანი-სერბეთი 2:2, რუსეთი-ბულგარეთი 2:2, სომხეთი-ნორვეგია (1) 2.5:1.5, ჩინეთი-ჰოლანდია 2:2, უკრაინა-უზბეკეთი 1.5:2.5, ისრაელი-კუბა 1,5:2,5, ყაზახეთი-თურქეთი 3:1. ვიეტნამი-ინგლისი 2:2, გერმანია-ყატარი 3:1, საფრანგეთი-არგენტინა 3.5:0.5.

ხუთი ტურის შემდეგ 9-9 ქულით აზერბაიჯანი, სერბეთი, ყაზახეთი, ბულგარეთი, კუბა, უზბეკეთი და საქართველო მეწინავეობენ. 16 გუნდს 8-8 ქულა აქვს.

**მე-6 ტურში ითამაშებენ:** აზერბაიჯანი-საქართველო, სერბეთი-ბულგარეთი, კუბა-ყაზახეთი, უზბეკეთი-რუსეთი.

მე-5 ტური უიღბლო აღმოჩნდა საქართველოს ქალთა ნაკრებისთვის. ბელა ხოტენაშვილმა თეთრი ფიგურებით, ფაქტობრივად, მოგებული პარტია წააგო ორგზის ევროპის ჩემპიონ ვალენტინა გუნინასთან, რამაც გამარჯვება მოუტანა ოლიმპიადის მოქმედ ჩემპიონებს, რადგან დანარჩენ დაფებზე მანამდე დაზავდნენ კატერინა ლაგნო-ნანა ძაგნიძე, ალექსანდრა კოსტენიუკი-ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია-ნატალია პოგონინა.

**ლიდერთა პაექრობები ასე დასრულდა:** ინდონეზია-ჩინეთი 0.5:3.5, უნგრეთი-ირანი 2.5:1.5, ესპანეთი-ჰოლანდია 1.5:2.5, სერბეთი-უკრაინა 3:1, პოლონეთი-ყაზახეთი 3:1, საფრანგეთი-გერმანია 3:1, ბელარუსი-რუმინეთი 1.5:2.5, აზერბაიჯანი-აშშ 1.5:2.5.

**ხუთი ტურის შემდეგ:** ჩინეთი, უნგრეთი, რუსეთი-10-10, ჰოლანდია, პოლონეთი, სერბეთი-9-9. 12 გუნდს 8-8 ქულა აქვს. საქართველო 7 ქულით მე-19 (!) ადგილზეა. მე-6 ტურში ჩვენი ქალები ლატვიელებს შეხვდებიან. ლიდერები კი ასე დაწყვილდნენ: ჩინეთი-უნგრეთი, სერბეთი-რუსეთი, ჰოლანდია-პოლონეთი.

გუშინ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე დასვენების დღე იყო. დღეს მეტოქეები კვლავ მიუსხდებიან დაფებს.

**ლექსო ცინცაძე**

კალათბურთი

# ჩეხები შესარჩევ ციკლს დიდი დანაკლისით ხვდებიან

**საბოლოოდ გაირკვა, რომ 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნული ნაკრების უმთავრესი მეტოქე ჩეხეთი მომავალ ტურნირს დიდი დანაკლისით ხვდება.**

ჩეხების მთავარი მწვრთნელის რონენ გინზბურგის უმთავრესი საფიქრალი ნბა-ში ნათამაშები იან ვესელის არყოფნა იქნება. ამ უკანასკნელმა გასული სეზონი „ვაშინგტონ უიზარდსში“ გაატარა, თუმცა, ახლა ევროპაში დაბრუნება განიზრახა და ახალი კლუბის ძიებაში იყო, რის გამოც ეროვნული გუნდის შეკრებაზე არ ყოფილა.

ვესელიმ სტამბოლის „ფენერბაჰჩესთან“ კონტრაქტი ამ დღეებში გააფორმა და ჩეხებს იმედი გაუჩნდათ, რომ იგი ნაკრების რიგებს შეუერთდებოდა, თუმცა... „თავიდანვე ასეთი შეთანხმება გვქონდა, რომ იანის საკითხი დღის წესრიგში მაშინ დადგებოდა, როდესაც ახალ გუნდს მოიძიებდა. მან სამშაბათს კონტრაქტი გააფორმა და მყის შევეხმიანეთ, თუმცა, ვესელის წარმომადგენელმა გვითხრა, რომ იგი ამჯერად ნაკრებს ვერ დაეხმარება, რის გამოც ბოდიშს იხდის“, — განაცხადა ჩეხეთის ეროვნული გუნდის მენეჯერმა მიხალ სობმა.

შეგახსენებთ, რომ გასულ ევრობასკეტზე ვესელი ჩეხების საუკეთესო კალათბურთელი გახლდათ და საშუალოდ 32 წუთში 17 ქულას და 11 მოხსნას აგროვებდა, საქართველოს ნაკრებთან მოგებულ შეხვედრაში კი ერთბაშად 27 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა.

ცხადია, რომ ამით ჩეხებს ფარქვეშ დიდი ძალა დააკლდებათ, ამას კი ისიც უნდა დავუმატოთ, რომ შესარჩევ ციკლში ვერ ითამაშებენ „ნიმბურკის“ გამოცდილი მოთამაშეები — ცენტრი პეტრ ბენდა და მძიმე ფორვარდი პაველ ჰოუსკა. 2011 წლის ევროპის ჩემპიონატზე მათაც ითამაშეს და ბენდა საშუალოდ 4 ქულასთან ერთად 3 მოხსნას აგროვებდა, ჰოუსკა კი — 2 ქულას და 3 მოხსნას.

გასაკვირი არ ყოფილა, რომ ამ ფონზე ჩეხებს „ფარის მოგება“ სპარინგ-მატჩებშიც ძალიან გაუჭირდათ. იგივე არცთუ ძლიერ ჰოლანდიასთან შეხვედრაში, რომელიც მოსამზადებელ ციკლში გინზბურგის ბიჭებისთვის ბოლო გახლდათ, ჩეხეთი მოხსნებში მეტოქეს 32:44 (!) ჩამორჩა.

„შესარჩევ ციკლში რამდენიმე მნიშვნელოვანი მოთამაშე დაგვაკლდება, თუმცა, ეს მათი გადაწყვეტილებაა. იმ კალათბურთელებს დავეყრდნობი, რომლებიც შეკრებაზე გამოცხადდნენ. მოსამზადებელ ციკლში არსებული კონტინგენტითაც კარგად ვითამაშეთ და ეს გარკვეულ იმედებს მისახავს“, — განაცხადა გინზბურგმა.



წამყვანი კალათბურთელების არყოფნაში გარკვეული პოზიტივის დანახვას ცდილობს გუნდის უმთავრესი ლიდერი ტომაშ სატორანსკიც, რომელიც მომავალ სეზონში ევროპული კალათბურთის ერთ-ერთ გრანდ „ბარსელონას“ ღირსებას დაიცავს.

„ამ დანაკლისის ფონზე თავის გამოჩენის საშუალება იმ მოთამაშეებს მიეცემათ, რომლებიც აქამდე ჩრდილში იყვნენ. მაგალითად ონდრეი ბალვინს მოვიყვანდი. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ ჩეხურ კალათბურთს სჭირდებიან. იგივე ვესელის პატრიკ აუდა ჩაანაცვლებს, რომელიც კარგა ხანი აშშ-ს სტუდენტურ ლიგაში თამაშობდა და მას ჩეხი ქომაგი არცთუ კარგად იცნობს“.

თითქოს აღნიშნული არ ეყოფოდაო, ბოლო დღეებში ჩეხებმა კიდევ ერთი დანაკლისი განიცადეს. საქმე ეხება იამაიკაში დაბადებულ კორი მაირჰედს, რომლისთვისაც ჩეხეთის კალათბურთის ფედერაცია პასპორტის მიცემას ცდილობდა, თუმცა, ვადებში ვერ ჩაეტია. არადა, მოსამზადებელ შეხვედრებში მაირჰედი აქტიურ მონაწილეობას იღებდა და ცუდად ნამდვილად არ გამოიყურებოდა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს 10 აგვისტოს სწორედ ჩეხებთან მატჩით გახსნის, საპასუხო შეხვედრა კი ნიმბურკში 20 აგვისტოს შედგება.

რაც შეეხება მასპინძლებს, მათ ვიქტორ სანიკიძე დაუბრუნდათ, თუმცა, შეძლებს თუ არა იგი სრული დატვირთვით თამაშს, ძნელი სათქმელია

**ვიტალი ჯაფარიძე**

ნიჩბოსნობა



# კაიაკითა და კანოეთი

**მოსკოვში დაიწყო ნიჩბოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს სამი წარმომადგენელიც მონაწილეობს — კანოეში ზაზა ნადირაძე (მცხეთა), კაიაკში (ბაიდარა) — ვლადა კოსიცკა (მცხეთა) და ბადრი ყაველაშვილი (თბილისი). ისინი საკვალიფიკაციო გაცურვებში დღეს მოსინჯავენ ძალებს: კოსიცკა ერთადგილიანი კაიაკით 200 და 500 მეტრზე იასპარეზებს, ხოლო ნადირაძე და ყაველაშვილი მხოლოდ 200 მეტრზე გამოვლენ.**

ამას წინათ 21 წლის ნადირაძემ ევროპის ჩემპიონატზე ყაველაშვილთან ერთად კონტინენტის 2015 წლის პირველი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა, მერე 23-წლამდელთა მსოფლიოს პირველობაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ყაველაშვილი კი 18-წლამდელთა მსოფლიოს პირველობაზე მე-7 იყო.

**გივი გაგუა**

სეზონის წინ

# ვითომ წვრილმანია?!

**ალბათ, ბევრი ირონიულად ჩაიღიმებს, ნეტავ ამ წერილში წამოჭრილი საკითხის მეტი სატკივარი არ ჰქონდეს ქართულ ფეხბურთსო, მაგრამ სათქმელი, უკვე მერამდენედ, მაინც უნდა ითქვას, მით უმეტეს XXVI ეროვნული ჩემპიონატის წინ, რომელიც ხვალ იწყება.**

უკვე 16-გუნდიანი მარათონული ტურნირის სტარტზე კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი მონაწილეთა ნუსხას და წმინდა ქართული ნათლობის სახელების — „ჩიხურა“, „დილა“, „შუქურა“, „სიონი“, „მერანი“, „გურია“ — პარალელურად ჩემი ყურადღება კომუნისტური ეპოქის გადმონაშთებმა მიიქცია: „დინამო“, „ტორპედო“, „სპარტაკი“, ვფიქრობ და, დარწმუნებული ვარ, ბევრი დამეთანხმება, XXI საუკუნეში ანაქრონიზმად ჟღერს.

შეგახსენებთ, რომ ზვიად გამსახურდიას ზეობისას ჩვენი საკლუბო ფეხბურთის ფლაგმანს „იბერია“ ერქვა. სამწუხაროა, რომ იგი, პირველი პრეზიდენტის ამქვეყნიური სიცოცხლისა არ იყოს, ხანმოკლე აღმოჩნდა.




სხვათა შორის, ეროვნული სულისკვეთებით იყო განმსჭვალული რეგიონების წარმომადგენელთა სახელებიც. დასანანია, რომ მხოლოდ მოგონებად არსებობს ჩვენი სტადიონების ტაბლოებზე გამოსახული მაშინდელი წარწერები: „ოდიში“, „მარგვეთი“, „გორდა“, „სანავარდო“.

ვიმედოვნებ, ნავსი წლეულს მაინც გატყდება და დამდეგი სეზონის შეხვედრათა ოქმებს კვლავაც დაამშვენებს თავანკარა ქართულის შესატყვისი სტრიქონები.

**შალვა ქირია**

**ვეტერანი სპორტული ჟურნალისტი**

### სიტყვა მეგობარზე

# ქარბორბალაში მოხვედრილი კაცის ნათქვამი




**ცოტა გავაუბრალოვეთ, ქართველები ვართ და, თითქმის ყველას „მოვარგეთ" სიტყვა – „ღვაწლმოსილი", თორემ, ნახეთ რა ტევადია ეს დალოცვილი: „ღვაწლმოსილი – ქართული კლუტურის წინაშე", „ღვაწლმოსილი – ქართული მეცნიერების წინაშე", „ღვაწლმოსილი – მამულის წინაშე" და ასე შემდეგ...**

**ალექსანდრე (ალეკო) შენგელიას,** სწორედაც რომ შეეფერება ეს სიტყვა. იგი, მართლაც ღვაწლმოსილია ქართული პრესის, ქართული ტელევიზიის, ქართული მწერლობის, კოლეგების, სამეგობრო-სანათესაოს, ოჯახის, საერთოდ, მამულის წინაშე...

მე რომ პირველ ნაბიჯებს ვდგამდი ჟურნალისტიკაში, ალექსადრე შენგელია უკვე მთელ საქართველოში (განსაკუთრებით თბილისში, რადგან გაზეთ „თბილისში" მუშაობდა) ცნობილი ჟურნალისტი იყო, ლექსებსაც წერდა და ბეჭდავდა...

მე ხან „კომუნისტში", ხან „ახკომში", ხან „სოფლის ცხოვრებაში", ხანაც „თბილისში" ვიბეჭდებოდი. განსაკუთრებით „თბილისს" შევეჩვიე, აქ, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში შესვლისას, ძალუმად ვგრძნობდი განყოფილების გამგის, ბატონ დავით მელუხას, თანამშრომლების – ქალბატონ კირა კვეიძისა და ალეკოს, პირლიმილიანი და იუმორით სავსე ალეკო შენგელიას ყურადღებას. ჰოდა, ვიბეჭდებოდი (რაც, ძირითადად ალეკოს დამსახურება იყო) „თბილისის" ფურცლებზე, მერე მე ჩემი გზა ვნახე, თუმცა, დარჩა ჩვენს შორის კეთილი მეგობრობა...

მოგვიანებით საქართველოს ტელევიზიაში გამოჩნდა ალეკო შენგელიას ნიჭი და გაქანება. ბევრი ტელეგადაცემა დაგვამახსოვრა, მაგრამ „კაკაბეთის ზარები", მაინც განსაკუთრებული იყო მთელი საქართველოსთვის...

მერე მშობელმა ქუთაისმა უხმო ალეკოს და ისიც „ჩარჩა" და „ჩარჩა" იქ. გაზეთი „ქუთაისით" დაწყებული, რამდენიმე გაზეთს უზადოდ რედაქტორობდა, საქებარს აქებდა, გასაკრიტიკებელს მახვილ სიტყვას არ აკლებდა, ხშირად, სპეციალური გამოცემით, თავის ხმას თანამოძმეებსაც აწვდიდა ისრაელში და ასე... დრო გადიოდა... ჰოდა, ამასობაში, აი, ოთხმოციც!... დამდგარა გვიანი შემოდგომა, ალეკოს ხალისიანსევდიანი შემოდგომა... მერე რა, მთავარია, რომ ჩვენს ძვირფას მეგობარს უკან მიხედვისა არ ერცხვინება და სიამაყით გაჰყურებს განვლილ წლებს. ახლახან მან თავის რამდენიმე შესანიშნავი ლექსების კრებულს, ერთი, ასე ვთქვათ, „შემაჯამებელიც" მიამატა, სადაც იგი ნიჭიერად უნაცვლებს ერთმანეთს ლირიკულ თუ პუბლიცისტურ სალექსო სტრიქონებს, ფელეტონებსა და სათრეველებს... როგორც ალეკო ამბობს, ეს ლექსები მეორე და მესამე ათასწლეულთა გზაშესაყარზე ქარბორბალაში მოხვედრისას არის თქმული და, რა გასაკვირია, რომ უფრო მეტად დარდითა და სევდანაღველითაა გაჯერებული, რადგან ქარბორბალა არა და არ ნელდება ჩვენს ბედუკუღმართ ქვეყანაში. და, რა სასიამოვნოა, რომ ალეკო შენგელიას – პოეტისა და მოქალაქის მახვილი თვალი სწვდება ყველას და ყველაფერს...

ამ კრებულს კვლავაც ეყოლება შემფასებელი, ხოლო მის ავტორს საქებარ სიტყვას არავინ დააკლებს, რაც, დარწმუნებული ვარ, ისე, საყველპუროდ არ იქნება ნათქვამი.

**ვილენ მარდალეიშვილი**

## განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

### საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

**საქართველომ** სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიილო სესხი (№802-GE) სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტის (ASP) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯების **გორის მუნიციპალიტეტში არსებული ძევერა შერთულის სარწყავი სისტემის და გარდიგარდმო მაგისტრალური არხის I, სხვა რიგის გამანაწილებლების შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია სათავე ნაგებობის მოწყობით,** კონტრაქტით **№A/W/NCB-2014/05**

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. კონტრაქტების ხანგრძლივობაა **16 თვე.**

2. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2014 წლის 11 აგვისტოდან** (ყოველდღე 12-დან 16 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;**

**ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 302004400;**

**გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი – 4411.**

3. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 1 სექტემბრის 12 საათისა,** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

**4. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

**საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი**

**თბილისი, მარშალ გელოვანის №6, მე-3 სართული, ოთახი №309**

ელ.ფოსტა: l.durmishidze@moa.gov.ge
ტელ. +995 (32) 237-66-48.

## განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

### ცვლილება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ **გორის მუნიციპალიტეტში არსებული ძევერა შერთულის სარწყავი სისტემის და გარდიგარდმო მაგისტრალური არხის I, სხვა რიგის გამანაწილებლების შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაციისთვის (სათავე ნაგებობის მოწყობით)** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 2014 წლის 6 აგვისტოს გამოქვეყნებულ სატენდერო მოწვევაში № A/W/NCB-2014/05 შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2014 წლის 11 აგვისტოდან** (ყოველდღე 12-დან 16 საათამდე) წინამდებარე განცხადებაში მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

2. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 1 სექტემბრის 12 საათისა,** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

### ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**
**ტელ: 595 05 11 77; 593 35 99 09.**

**კითხვა: ვარ განქორწინებული. ქორწინებაში ყოფნის დროს შვილად ავიყვანეთ ვაჟი, რომელიც დღესაც ატარებს მამის გვარს. ყოფილ მეუღლეს აქვს სახლი, არ ჰყავს ცოლ-შვილი, მაგრამ ჰყავს და-ძმა. თუ იგი ანდერძით სხვას დაუტოვებს სახლს, ჩემ შვილს შეუძლია თუ არა, ისარგებლოს პირველი რიგის მემკვიდრის უფლებით?**

**თათია გოგლიძე**

**პასუხი:** შეკითხვაში არ მიუთითებთ, სრულწლოვანია თუ არა თქვენი შვილი და თუ სრულწლოვანია (18 წლის და მეტის), ხომ არ არის სასამართლო წესით ცნობილი უღირს მემკვიდრედ.

სხვა შემთხვევაში, ქორწინება მყოფ მეუღლეთა მიერ სათანადო წესის დაცვით, შვილად აყვანილი პირი, რომელიც ატარებს მამის გვარს, უთანაბრდება ღვიძლ შვილს და ჩაითვლება მის პირველი რიგის მემკვიდრედ.

თქვენი ყოფილი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას არ ექნება ანდერძი დატოვებული სხვის სასარგებლოდ, შვილი მიიღებს მთელ მის მემკვიდრეობას (უძრავ-მოძრავ ქონებას), ხოლო თუ ანდერძი შედგენილი ექნება, მისი კუთვნილი ქონების, დის, ძმის ან ნებისმიერი სხვა პირისთვის გადაცემის შესახებ, თქვენი საერთო შვილი, როგორც პირველი რიგის მემკვიდრე, მამის მემკვიდრეობიდან გარკვეულ წილს მაინც მიიღებს. ასეთ წილს მემკვიდრეობის სამართალში „სავალდებულო წილი" ჰქვია და შეადგენს იმ წილის ნახევარს, რომელსაც მემკვიდრე მიიღებდა, სამკვიდროს დამტოვებელს ანდერძი სხვა პირის სასარგებლოდ რომ არ გაეფორმებინა (მაგ., თუ გარდაცვლილის მთელი ქონება, თანხაში გადაყვანილი იქნება 100 000 ლარი, მსგავს შემთხვევაში პირველი რიგის მემკვიდრე მიიღებს 50 000 ლარს).

* * *

**კითხვა: დასაქმებულის გარდაცვალების შემთხვევაში, რომელსაც არ უსარგებლია შვებულებით (დასაქმებული იყო საჯარო მოხელე), გვეკუთვნის თუ არა საბოლოო ანგარიშის გასწორება?**

**მინდია აბდუშელიშვილი**

**პასუხი:** „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის შესაბამისად, მოსამსახურისთვის დადგენილია ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით, რომელიც მას შეუძლია გამოიყენოს როგორც წელიწადში ერთხელ – მთლიანად, ისე წლის განმავლობაში, ნაწილ-ნაწილ.

შეკითხვა მეტად ზოგადი ხასიათისაა, მასში არ არის აღნიშნული რა მიზეზით გარდაიცვალა საჯარო მოხელე, კონკრეტულად რომელი პერიოდის შვებულება დარჩა გამოუყენებელი და რატომ. გარდაცვალების მიზეზით იმიტომ ვინტერესდებით, რომ, თუ საჯარო მოხელე დაღუპულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, მასზე თავდასხმის შედეგად, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე მუხლის თანახმად, მის ოჯახს ეკუთვნის ერთჯერადი დახმარება 10 000 ლარის ოდენობით.

დანარჩენ შემთხვევებში, გარდაცვლილი საჯარო მოხელის ოჯახისთვის გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციის გაცემის ან საბოლოო ანგარიშის გასწორების თაობაზე „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში არაფერია ნათქვამი.

* * *

**კითხვა: ვარ მეორე მსოფლიო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი, არ მაქვს საცხოვრებელი სახლი და ღრმად მოხუცი კაცი ნათესავებთან ვარ შეკედლებული. ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენთან ერთ ოჯახად მცხოვრებ შვილს, ბინა ვალებში წაართვეს. გთხოვთ, უფასოდ გამომიყოთ პატარა საცხოვრებელი ფართი, რათა ცხოვრების ბოლო დღეები მშვიდად გავატარო.**

**ამირან ჟეიშვილი**

**პასუხი:** ბატონო ამირან, კარგად გვესმის თქვენი გასაჭირი, მაგრამ ვალდებული ვართ განგიმარტოთ, რომ ჩვენი რედაქცია მოკლებულია შესაძლებლობას, გაგიწიოთ დახმარება თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებაში, ვინაიდან პენსიონერთა არც ერთ კატეგორიის (მათ შორის, ომის ინვალიდებისთვის) საცხოვრებელი ფართობის უფასოდ გამოყოფა მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

### ინფორმაცია

## ოზურგეთს ენერგომომარაგება გაუმჯობესდება

**ოზურგეთში 10 კვ ქსელის რეაბილიტაცია განახლდა და შედეგად ქალაქის 2000-მდე აბონენტის ენერგომომარაგება უფრო საიმედო და სტაბილური გახდა. სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა თაყაიშვილის, წმ.გიორგის, წუწუნავას, ღლონტის, პუშკინის, გოლიაძის, გურიის და კიდევ 13 ქუჩაზე.**

**სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად ქვესადგურ ოზურგეთის 38 ფიდერზე ამორტიზებული კაბელი გამოიცვალა. სამუშოები 2 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები ეტაპობრივად მთელი ქალაქის მასშტაბით განხორცილედება.**

## დააკავეს თაღლითობის ბრალდებით

**შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1973 წელს დაბადებული ხათუნა ბ. თაღლითობის და მოტყუებით ქონებრივი დაზიანების ბრალდებით თბილისში დააკავეს .**

**როგორც „ინტერპრესნიუსს" შსს-დან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ ხათუნა ბ-ს მოქალაქემ გადასცა 16000 აშშ დოლარი ბრაზილიაში სამი პირის გამგზავრებისა და სასტუმროში განთავსების ორგანიზების უზრუნველსაყოფად. ბრალდებულმა ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა და ბრაზილიაში აღნიშნული პირების სასტუმროში განთავსება არ უზრუნველყო, რის გამოც მოქალაქე იძულებული გახდა სასტუმროს ხარჯები თავისი სახსრებით დაეფარა.**

**გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ხათუნა ბ-მ ერთ-ერთ ტურისტულ კომპანიას შეუკვეთა და დააჯავშნინა ბრაზილიის მიმართულებით 12042 ლარის ღირებულების ავიაბილეთები და ელექტრონული ფოსტით გადაუგზავნა ერთ-ერთი ბანკის საგადახდო დავალება, რომლის მიხედვითაც, თითქოსდა მან კომპანიას ავიაბილეთების ღირებულება – 12042 ლარი ჩაურიცხა, თუმცა, კომპანიისათვის თანხა არ გადაურიცხავს.**

**გაითვალისწინეთ!**

# აქტიური პროცესები აგვისტოში

**აგვისტოში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 2-4, 8-17, 23-27, 29, 31 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია გრიგალებისა და ციკლონების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის ზრდა, სოციუმში სეისმოაქტიურობისა და დაძაბულობის გაძლიერება.**

**8 – მთვარის მიერთება პლუტონთან თხის რქაში, ოპოზიცია დედამიწა-მერკური.** ემოციური ფონი დაქვეითებულია. შესაძლებელია ტკივილები სისხლძარღვებში, რევმატიზმის გამწვავება. აუცილებელია გამოვრიცხოთ დატვირთვა, ვერიდოთ გაციებას, სასარგებლოა მსუბუქი გასეირნება, კანის მოვლა, გამაჯანსაღებელი პროცედურები.

**10 – სავსე მთვარე, მთვარის პერიგეი.** არის არტერიული წნევის ხტომების ალბათობა, საერთო სისუსტის, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავების, ციების ალბათობა. ნუ გადატვირთავთ ფეხებს, ერიდეთ სტრესებს, გაუფრთხილდით თვალებსა და ნერვულ სისტემას. ხელსაყრელი დროა შემოქმედებითი აქტიურობისთვის, სწავლისთვის, დასვენებისა და ფიზიკური ვარჯიშებისთვის.



**12 – მთვარის ნეპტუნთან შეერთება თევზებში.** შეიძლება შეინიშნებოდეს დაბნეულობა. გაზრდილია მიდრეკილება ინფექციური დაავადებებისაკენ, კანის დაავადებებისაკენ, შესიებისაკენ, ტკივილებისაკენ ფეხებში. რეკომენდებულია უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, აღმგზნებ საშუალებებზე, ნუ გადატვირთავთ ღვიძლს ცხიმიანი საკვებით. სასარგებლოა წყლის პროცედურები, ტერფების მასაჟი, მსუბუქი გასეირნება.

**14 – მთვარის შეერთება ურანთან ვერძში, მერკური ლომის უკანასკნელ გრადუსებშია.** შესაძლებელია აფეთქებები, გაღიზიანება, კონფლიქტი. საალბათოა სმენისა და მხედველობის ორგანოთა დაავადება, უძილობა, თავის ტკივილი. სასურველია უარი ვთქვათ აღმგზნებ საშუალებებზე – ალკოჰოლზე, სიგარეტზე, ყავაზე, შოკოლადზე. ხელსაყრელია, ზომიერი ფიზიკური დატვირთვები, გასეირნება სუფთა ჰაერზე.

**17 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი.** შეიძლება გაჩნდეს პრობლემები ყურებთან, კბილებთან, ბრონქებთან, ფარისებრ ჯირკვალთან დაკავშირებით. ერიდეთ ყელის გაციებას, ნუ გადატვირთავთ ხმის კვანძებს. გამოიყენეთ ხარისხიანი კვების პროდუქტები. სასარგებლოა წყლის პროცედურები, გასეირნება, მცირე შეზღუდვა კვებაში.

**23 – მზე გადადის ქალწულის ნიშანში, მთვარის შეერთება იუპიტერთან ლომში.** აუცილებელი თვალყური ვადევნოთ წნევის შესაძლო ვარდნებს, ვერიდოთ ძლიერ ფიზიკურ და გონებრივ დაძაბულობას, სტრესებს, დაიცავით ძილისა და დასვენების რეჟიმი, უარი თქვით ალკოჰოლსა და მოწევაზე. არ არის გამოიცხული პრობლემები ღვიძლთან დაკავშირებით, რადიკულიტი, უძილობა. სასარგებლოა ჰაერის აბაზანები, სრულფასოვანი ძილი, სამკურნალო ფიზკულტურა.

**24 – მთვარის შეერთება ვენერასთან ლომში, მთვარის აპოგეა.** შესაძლებელია მგრძნობელობის ამაღლება კვების პროდუქტებთან დაკავშირებით. აუცილებელია სრულფასოვანი ძილი, ხარისხიანი პროდუქტები, გასეირნება, ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები. კარგია მივმართოთ შემოქმედებას, ხელოვნებას ცხოვრებისეული ტონუსის ამაღლებისათვის.

**25 – სავსე მთვარე.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილებები. ორგანიზმი დასუსტებულია, იმუნიტეტი – დაქვეითებული. გაზრდილია გაცივების, ანგინის, კვებითი მოწამვლის საფრთხე, ერიდეთ ცივ წყალს, ნაყინს, უხარისხო პროდუქტებს. უფრო მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას, ახალ საქმეებს ნუ წამოიწყებთ.

**27 – მთვარის მერკურთან შეერთება ქალწულში.** გადატვირთვისა და სტრესების გამო შეიძლება მოიშალოს ნერვული სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვლის და კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის მუშაობა. სასურველია, არ გამოვიყენოთ მძიმე საკვები, აღმგზნები სასმელები, დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი. სასარგებლოა გასეირნება, არომა და ფიტოთერაპია, წყლის პროცედურები, ტანვარჯიში. კარგია გავიაროთ პროფესიული დათვალიერება ან დავიწყოთ მკურნალობა.

**31 – მთვარის სატურნთან შეერთება ღრიანკალში.** შესაძლებელია აღგზნებადობის გაზრდა. თავშეუკავებლობა. გაზრდილია ტრავმების საფრთხე, დიდია ართროზის, ართრიტისა და რევმატიზმის გამწვავების ალბათობა. აუცილებელია ვერიდოთ გაცივებას, დიდ დატვირთვას საყრდენ-სამოძრაო აპარატზე. სასარგებლოა დიეტის დაცვა, უარის თქმა ალკოჰოლზე, კონტრასტულ შხაპზე.

**ცინცხალი ანეკდოტები**

**– რას ნიშნავს დაუძლეველი ვითარება?**
**– დალევ?**
**– არა.**
**– უმაღლესი ხარისხის არაყი მაქვს, ზღაპრული მისაყოლებელი, და ყველაფერი ეს – უფასოდ!**
**– მაშინ დავლევ.**
**– აი, ეს არის დაუძლეველი ვითარება.**

* * *

**– რაღაც ცუდად გამოიყურები, რამდენი წლისა ხარ?**
**– ქალიშვილისთვის, სხვათა შორის, ასაკის კითხვა უკულტურობაა!**
**– როგორ, შენ ქალიშვილიც ხარ?**



**ქირურგი სიძე თავის სიმამრს ოპერაციას უკეთებს.**
**– რაც შეიძლება, მოინდომე! – სთხოვს სიმამრი, – თორემ, თუ მოვკვდი, იცოდე, შენი სიდედრი ეგრევე ქალიშვილთან გადავა საცხოვრებლად.**

* * *

**ოდესელი ტაქსისტი გიჟივით მიაქროლებს მანქანას.**
**– მძღოლო, არ შეგიძლიათ, რომ ფრთხილად იაროთ? – ეუბნება სარა, – სახლში რვა შვილი მელოდება.**
**– იფ! და თქვენ მელაპარაკებით სიფრთხილეზე?**

საქართველო ტრადიციული მედიცინის სამშობლოა

**ისარგებლეთ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ბუნებრივი წამლებით**

**„ფერდის“ და „სალხინოს“ კომპლექსური გამოყენება**



კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია **„ფერდის“ და „სალხინოს“** ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების მკურნალობაში.

პირველი 6-7 დღე ინიშნება **„ფერდის“ და „სალხინოს“** კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში – 2 კაფსულა „ფერდი“ და 1 კაფსულა „სალხინო“ 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი“ ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.

**„ფერდი“ და „სალხინო“** იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

**ინფორმაცია**

## მიწისძვრები საქართველოში

**სეისმოლოგები** საქართველოში გუშინ მომხდარ ორ მიწისძვრაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრის ხელმძღვანელმა ზურაბ ჯავახიშვილმა განუცხადა , საქართველოში მიწისძვრები ჩვეულებრივი სეისმოლოგიური პროცესია.

– მცირე მიწისძვრები ჩვეულებრივია და ამაში საგანგაშო არაფერი არ არის. ონსა და დმანისში ხშირად ხდება ხოლმე მცირე სიმძლავრის მიწისძვრები. ძირითადად – დაუსახლებელ ადგილებში, თუმცა, თუ დასახლებულ ტერიტორიაზე მოხდა, მოსახლეობა მცირე ბიძგებს გრძნობს, – განაცხადა ჯავახიშვილმა.

საქართველოში ოთხშაბათს ორი მიწისძვრა დაფიქსირდა, 3,6 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრის ეპიცენტრი დმანისიდან ჩრდილო-დასავლეთით, 9 კილომეტრში მდებარეობდა.

3,5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა იყო რაჭაშიც. მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ ონში დაფიქსირდა.

**ფოტოფაქტი**



**„ვეწევით, მივალთ ბოლომდე!!!“ ეს იყო ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვში „ლუჟნიკებზე“. ძალისმიერი ექსტრიმის „სლავიანური გოლიათობის“ საერთაშორისო ტურნირზე ერთ-ერთი მონაწილე აჩვენებს თავის შესაძლებლობებს.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36 00 35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24